პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 20 ნოემბერი, 1943 წ. № 240 (6865). ფასი 20 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ ვაფუფინს

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა სწრაფი შეტევის შედეგად, 18 ნოემბერს, ღამით დაიკავეს ქალაქი ოვრუჩი—რკინიგზის მნიშვნელოვანი კვანძი პოლესიეს მიმართულებით.

ქალაქ ოვრუჩის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ პუხოვის ჯარებმა.

განსაკუთრებით გამოიჩინა თავი გენერალ-მაიორ რუმიანცევის გვარდიის მე-4 საჰაერო-სადესანტო დივიზიამ.

მიღწეული წარმატების აღსანიშნავად გვარდიის მე-4 საჰაერო-სადესანტო დივიზიას მიეკუთვნოს „ოვრუჩის“ სახელწოდება და ამიერიდან იგი იწოდებოდეს

ოვრუჩის გვარდიის მე-4 საჰაერო-სადესანტო დივიზია.

დღეს, 19 ნოემბერს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ასოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ჩვენს მამაც ჯარებს, რომლებმაც გაათავისუფლეს ქალაქი ოვრუჩი.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ ჯარებს, რომლებმაც გაათავისუფლეს ქალაქი ოვრუჩი.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

ხიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1943 წლის 19 ნოემბერი.

სახელოვანი გამარჯვება

შესრულდა ერთი წელი, რაც კავკავის (ქალ. ორჯონიკიძის) მისადგომებთან მრავალი დღის ბრძოლები წითელი არმიის სახელოვანი გამარჯვებით და გერმანელთა სამარცხვინო დამარცხებით დამთავრდა.

გააფთრებული და სისხლმწყურვალი მტერი 1942 წელს სტალინგრადზე შეტევასთან ერთად კავკასიისაკენ გამოეშურა. ჰიტლერული სარდლობა ფიქრობდა, რომ დაიპყრობდა კავკასიას, მის უმდიდრეს მიწა-წყალს, მის სახელგანთქმულ ნავთიან რაიონებს, მონობის უღელს დაადგამდა კავკასიის თავისუფლებისმოყვარე ხალხებს და, ამგვარად, მიაღწევდა საზიზღარი „ახალი წესრიგის“ დამყარებას შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე. ჰიტლერული სარდლობა თავის მზაკვრულ გეგმას იმაზე აგებდა, რომ მრისხანე განსაცდელის ჟამს კავკასიის ხალხთა შორის მოხდებოდა შეტაკებები, დაიწყებოდა ხოცვა-ჟლეტა მათ შორის, დაირღვეოდა ერთიანობა და ყოველივე ეს ხელს მოუთბობდა ბერლინელ მეძეხვეებს, რომლებიც დიდი ხნიდან ოცნებობდნენ კავკასიის დაპყრობაზე. მაგრამ, როგორც ყოველთვის, ვერაგი მტერი სასტიკად მოტყუვდა ანგარიშში.

ლენინ-სტალინის დიადი პარტიის გარშემო მჭიდროდ დარაზმული კავკასიის ხალხები, რომლებიც გაერთიანებული არიან ურღვევი სტალინური მეგობრობით, ერთსულოვნად აღსდგნენ შმობლიური მიწა-წყლის დასაცავად. კავკასიის ხალხებმა ნამდვილი ჰაზავათი გამოუცხადეს ჰიტლერელ დამპყრობლებს. მიუხედავად უდიდესი ზარალისა, მტერი თავისი ჯარისკაცებისა და ოფიცრების სისხლიან გვამებზე გადმოდიოდა, წინ მოძვრებოდა, გროვებად ეყარა წითელი არმიის მებრძოლთა მიერ გმირულ ბრძოლებში დამსხვრეული ჰიტლერელთა ტანკები, იარაღი, თვითმფრინავები. მტერი მაინც წინ მოძვრებოდა. საზღვარი არ ჰქონდა მის მხეცობას: დროებით დაპყრობილ ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქებსა და სოფლებში.

უდიდესი საფრთხე ჩამოწვა მაშინ ამიერ-კავკასიას. და სწორედ იმ დიდებულ, მრისხანე დღეებში კავკასიაში ჩამოვიდა დიდი **სტალინის** ერთგული მოწაფე ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე **ბერია**, რომელმაც მტკიცე ხელით მოაწყო ამიერ-კავკასიის მისადგომების დაცვა. ამხანაგმა ლავრენტი ბერიამ ერთიან საბრძოლო ბანაკად შეაღუღაბა საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, ჩრდილოეთ ოსეთის, ჩაჩნეთ-ინგუშეთის, დაღისტნისა და ყაბარდო-ბალყარეთის ხალხები. შეამჭიდროვა მათი ძალები გერმანელ ოკუპანტთა გასანადგურებლად, დარაზმა და განამტკიცა ფრონტის არმიები, რომლებმაც არა მარტო შეაჩერეს მტრის წინსვლა, არამედ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს და კავკასიონის ბუნებასთან დაამსხვრიეს ჰიტლერელ დამპყრობთა ურდოები.

ჩრდილოეთ კავკასიაში გერმანელთა განადგურება დაიწყო კავკავის (ქალ. ორჯონიკიძის) მისადგომებთან. ფაშისტი მხეცი, რომელიც კავკავს უტევდა, ვარაუდობდა დაეხურა საქართველოს სამხედრო გზა და ამრიგად გაეთიშა ჩვენი ჯარები. მტრის ეს ვერაგული განზრახვა დამსხვრეულ იქნა. გერმანელ ფაშისტ ავაზაკებს უდიდესი ზარალი მოუვიდათ. როგორც საბჭოთა საინფორმაციო ბიურო იუწყებოდა, ჩვენმა ჯარებმა ამ ბრძოლებში გაანადგურეს გერმანელთა მე-13 სატანკო დივიზია, პოლკი „ბრანდენბურგი“, 45-ე ველობატალიონი, მე-7 მესანგრე ბატალიონი, ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვის 525-ე დივიზიონი, გერმანელთა პირველი სამთო-მსროლელი დივიზიის ბატალიონი და 236-ე ცალკე ბატალიონი. გერმანელთა 23-ე სატანკო დივიზიას, რუმინელთა მე-2 სამთო-მსროლელ დივიზიას და მტრის სხვა ნაწილებს სერიოზული ზარალი მოუვიდათ. წითელი არმიის ნაწილებმა ხელთ იგდეს 140 ტანკი, 2.350 ავტომანქანა, 70 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 1.000.000 ვაზნა და სხვა დიდი დავლა. ჰიტლერელებმა მარტო მოკლულთა სახით ამ ბრძოლებში დაჰკარგეს 5.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

უმაღლესი მთავარსარდლის დიდი **სტალინის** ბრძანებით 24 დეკემბერს ჩვენი ჯარები გადავიდნენ შეტევაზე, რომელიც წარმატებით განვითარდა. მტერი სასტიკად იქნა დამარცხებული. წითელმა არმიამ, დიდი სტალინის გენიით შთაგონებულმა, გმირულად მოიგო ბრძოლა კავკასიისათვის. ამ ბრძოლაში მას ყოველმხრივ ეხმარებოდნენ კავკასიის ხალხები, რომლებიც დღითი დღე აძლიერებდნენ შემტევი წითელი არმიისადმი, ფრონტისადმი დახმარებას.

მომმე რესპუბლიკების ხალხთა შვილებთან ერთად გმირულად იბრძოდნენ ქართველი ხალხის შვილები. რუსების, უკრაინელების, ბელორუსების მხარდამხარ კავკასიას საკუთარი მკერდით იცავდნენ ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები. ამ ბრძოლაში ბევრმა ქართველმა ოფიცერმა და მებრძოლმა გამოიჩინა თავი. საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ ქართველი ხალხის სახელოვან შვილებს პირმისაშვილს, ლურსმანაშვილსა და ანანიაშვილს. გმირობა ჩაიდინა მებრძოლმა ნატრიშვილმა, რომელიც საკუთარი სხეულით გადაეფარა მტრის ქვემეხის ლულას, რათა შემტევი ნაწილისათვის გზა გაეკაფა.

კავკასიისათვის ბრძოლა, რომელიც წითელი არმიის სახელოვანი გამარჯვებით დამთავრდა, საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ისტორიაში შევიდა, როგორც მისი ერთ-ერთი გმირული ფურცელი.

ამ ერთი წლის მანძილზე ომში ძირფესვიანი გარდატეხა მოხდა ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ. წითელი არმიის უმაგალითო გამარჯვებამ სტალინგრადთან, გერმანელთა 1943 წლის ზაფხულის შეტევის ჩაფუშვამ და ჩვენი ჯარების წარმატებებმა შეტევამ მოაახლოეს ჩვენი საბოლოო გამარჯვების ჟამი. ახლა წითელი არმია იბრძვის დნეპრის მარჯვენა ნაპირზე, კიევის დაჟამი. ახლა წითელი არმია იბრძვის დნეპრის მარჯვენა ნაპირზე, კიევის დასავლეთით, ოვრუჩთან, გომელთან. ქერჩის ნახევარკუნძულზე. **„ახლა გამარჯვება ახლოა,**—სთქვა დიდმა **სტალინმა** თავის ისტორიულ საოქტომბრო **მარჯვება ახლოა.**—სთქვა დიდმა **სტალინმა** თავის ისტორიულ საოქტომბრო მოხსენებაში.—**მაგრამ ზის მოსაპოვებლად საჭიროა ძალთა ახალი დაძაბვა, მთელი ზურგის თავდადებული მუშაობა, წითელი არმიის მარჯვე და გაბედული მოქმედება ფრონტზე“.**

უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშლის დიდი **სტალინის** ბრძანებული მხედართმთავრობით წითელი არმია მოიპოვებს საბოლოო გამარჯვებას გერმანელ ფაშისტ ოკუპანტებზე და საბჭოთა მიწა-წყალს სავსებით გასწმენდს ჰიტლერელი დამპყრობლებისაგან.

უსხოელ პოლიტიკურ მოღვაწეთა მისალმებანი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავთან დაკავშირებით

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავთან დაკავშირებით, ამხანაგ კალინინის სახელზე მიღებულია მოლოცვა ჩინეთის რესპუბლიკის ეროვნული მთავრობის პრეზიდენტ ძიან ჩუნჩენ-საგან.

ამხანაგ სტალინის სახელზე მიღებულია მოლოცვის დეპეშები ესპანეთის რესპუბლიკური მთავრობის ყოფილი მეთაურის ხუან ნეგრინისაგან; ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრ სტიმსონისაგან; ჩეხოსლოვაკიის ნაციონალური თავდაცვის მინისტრ, დიდ ბრიტანეთის გენერალ სერგეი ინგრისაგან; ლონდონის ლორდ-მერ სამუელ ჯოზეფისაგან; ლონდონის ჩეხოსლოვაკიურ საზოგადოებათა ორგანიზაციათაგან; ავსტრალია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ჟ. მელბურნში არსებული ლიგის მდივნის როჯერსისაგან (საკდესი).

ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენება და ბრძანება ქართულ ენაზე

საქ. სსრ სახელმწიფო გამომცემლობის პოლიტიკური ლიტერატურის სექტორმა ქართულად ცალკე წიგნად გამოსცა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ **ი. ბ. სტალინის** მოხსენება მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს და ჟ. მოსკოვის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა 1943 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე და უმაღლესი მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ **ი. სტალინის** 1943 წ. 7 ნოემბრის ბრძანება.

ამხანაგ სტალინის მოხსენება და ბრძანება გამოცემულია 100.000 ეგზემპლარი ტირაჟით.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
19 ნოემბრის ოპერაციული ცნობა

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, სწრაფი შეტევის შედეგად, 18 ნოემბერს ღამით დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის კვანძი ოვრუჩი. განაგრძობდნენ რა შეტევას, ფრონტის ჯარებმა დაიკავეს 30-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის კარპილოვკა, სტიჩანკა, ლუბიანკა, დუბროვა, მარტინოვიჩი, ვოროვიჩი, კოვშილო, ნოვაია დოროგინი, სტარაია დოროგინი, კაცოვშჩინა, ლასკი, რაკოვშჩინა.

ჩერკასის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა წარმატებით გადალახეს დნეპრი, მდინარის მარჯვენა ნაპირზე დაიკავეს მოწინააღმდეგის ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტები ელიზავეტოვკა, გუდიეზე, სვიდოვსკი, დახნოვკა, ვასილიცა, სოსნოვკა, გეროვიმოვკა და, განაგრძობდნენ რა მიხი ნაწილების შევიწროებას, ბრძოლებს ეწეოდნენ ქალაქ ჩერკასის მისადგომებზე.

უმაღლესი მთავარსარდლობის ბრძანებით ჩვენმა ჯარებმა იმის გამო, რომ დაკავებული პოზიციები ხელსაყრელი არ იყო, დასტოვეს ქალაქი ჟიტომირი და დაიკავეს თავდაცვისათვის უფრო ხელსაყრელი ზღუდეები.

რეჩიცის რაიონში ჩვენმა ჯარებმა, განაგრძობდნენ რა შეტევას, გაიუმჯობესეს პოზიციები.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა და საარტილერიო-სანაღმმტყორცნო სროლაა.

18 ნოემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 145 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 10 თვითმფრინავი.

* * *

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები სწრაფად მიიწევდნენ წინ და დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის კვანძი ოვრუჩი. ქალაქ ოვრუჩისათვის ბრძოლებში განსაკუთრებით წარმატებით მოქმედებდნენ გვარდიის მე-4 საჰაერო-სადესანტო დივიზიის ნაწილები. ხელთ ვიგდეთ დიდი დავლა — სარკინიგზო ეშელონები, დიდძალი არტილერია, სამომრი მასალებისა და სხვადასხვა სამხედრო მასალების საწყობები. ჩვენი მოძრავი ნაწილები განაგრძობდნენ მოწინააღმდეგის დევნას და დაიკავეს 30-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი. ამ პუნქტებისათვის ბრძოლებში მოსპობილია ორ ბატალიონამდე ჰიტლერელი.

* * *

ჩერკასის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა წარმატებით გადალახეს დნეპრი. წყლის ზღუდის გადალახვას ხელი შეუწყეს დნეპრის მარჯვენა ნაპირზე თვითმფრინავებით გადასხმულმა საბჭოთა ქვეგანაყოფებმა. ამ ქვეგანაყოფებმა პარტიზანებთან ერთად უეცრად დაარტყეს გერმანელებს. ჩვენმა ნაწილებმა ისარგებლეს მოწინააღმდეგის დაბნეულობით, სწრაფად გადავიდნენ მდინარეზე და დაიკავეს მთელი რიგი ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტები. მტერი შეეცადა აღიდგინა მდგომარეობა. და გარღვევის ადგილთან თავი მოუყარა მახლობლად განლაგებულ ყველა რეზერვებს, მაგრამ გააფთრებული ბრძოლების შედეგად უკუქცეულ იქნა. ჩვენი ჯარები, განაგრძობდნენ რა გერმანელთა შევიწროებას, ბრძოლებს ეწეოდნენ ქალაქ ჩერკასის მისადგომებზე. მტერს დიდი ზარალი მოსდის. არასრული ცნობებით, გაჟლეტილია 2.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ 5 სავსებით ვაგონი ტანკი, 2 ჯავშანტრანსპორტერი, 18 ქვემეხი, 80 ტყვიამფრქვევი, 100-მდე ავტომანქანა, სამომრი მასალების 3 საწყობი, საწყობები საჭურველიანად, სურსათიანად და სხვა დავლა. წამოყვანილია ტყვეები. ერთ უბანზე მთელი შემადგენლობით დაგვნებდა ტყვედ გერმანელთა ქვეითი ჯარის ასეული.

* * *

რეჩიცის რაიონში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და გაიუმჯობესეს პოზიციები. მოწინააღმდეგემ სასწრაფოდ მოიშველია დიდი ძალები და არაერთხელ გადმოვიდა კონტრიერიშზე. საბჭოთა არტილერისტებმა, ქვეითებმა და ტანკისტებმა გერმანელთა ყველა კონტრიერიშე მოიგერიეს და მათ მძიმე ზარალი მიაყენეს. მარტო ერთ უბანზე გაჟლეტილია 800-ზე მეტი ჰიტლერელი, დამწვარი და დაზიანებულია გერმანელთა 19 ტანკი, მოსპობილია ჯავშნიანი ორთქლმავალი და რამდენიმე საარტილერიო ბატარია. ნ ნაწილის მებრძოლებმა გაათავისუფლეს დიდი ჯგუფი საბჭოთა მოქალაქეებისა, რომლებსაც გერმანელები მიერეკებოდნენ კატორღულ სამუშაოზე გერმანიაში. ხელთ ვიგდეთ აგრეთვე აღალი მოწინააღმდეგის სამხედრო ქონებაიანდ.

* * *

ოქტომბერში ტარნოპოლის ოლქში მოქმედმა რამდენიმე პარტიზანულმა რაზმმა ლიანდაგიდან გადააგდო ნოწინააღმდეგის 33 სამხედრო ეშელონი, 2 ჯავშნიანი მატარებელი და ააფეთქა რკინიგზის ხიდი. მარცხთა შედეგად მოკლული და დაჭრილია ბევრი ჰიტლერელი. თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით პარტიზანებმა ჩამოაგდეს გერმანელთა 2 თვითმფრინავი.

ნოემბრის დამდეგს გერმანელებმა გაგზავნეს დიდი დამსჯელი ექსპედიცია ერთ-ერთი პარტიზანული რაზმის წინააღმდეგ. ორი დღის ბრძოლაში საბჭოთა პატრიოტებმა გაჟლიტეს მტრის 100-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი და აიძულეს მოწინააღმდეგე უკან დაეხია. პარტიზანებმა ხელთ იგდეს ნაღმსატყორცნი, 18 ტყვიამფრქვევი, 60 შაშხანა და ბევრი ვაზნა.

* * *

დნეპროპეტროვსკის სამხრეთ-დასავლეთით, დასახლებულ პუნქტებში ნაი-ვეგსა და ვესიოლაია დოლინაში ტყვედ წამოყვანილია გერმანიის „სს“-ელთა სატანკო დივიზია „დიდი გერმანიის“ ჯარისკაცთა ჯგუფი. გრენადერთა მე-2 პოლკის ტყვე უნტეროფიცრებმა ვერნერ ჰენერმა, ჰაინრიხ კიუპენმა და ჯარისკაცმა ჰელმუტ ლინდემანმა განაცხადეს: „გერმანიის სარდლობა დიდ იმედს ამყარებდა ჩვენს დივიზიაზე. ნოემბრის დამდეგს ყველა პოლკნი შეესვენა მიღო დივიზიას დაუსახეს ამოცანა—სხვა სატანკო და ქვეით შენაერთებთან ერთად გადაერეკნა რუსები დნეპრის მარცხენა ნაპირზე. ბრძოლებს უაღრესად გაფფრებული ხასიათი ჰქონდა. ჩვენ მეტად მძიმე ზარალი მოგვივიდა. 15 ნოემბრისათვის ჩვენი პოლკის ასეულებში 10-15 კაცი დარჩა. უდიდესი ზარალის გამო მე-2 და მე-3 ბატალიონები ერთ ბატალიონად იქნა გაერთიანებული. მიუხედავად მთელი ძალღონის დაჭიმვისა, დივიზიამ არა თუ ვერ უკუაგდო რუსები, არამედ თვითონ იძულებული გახდა უკან დაეხია. ჯარისკაცები ამბობენ: „კიდევ ერთი-ორი ასეთი ბრძოლა, და დივიზია „დიდი გერმანია“ სავსებით დაცლილი იქნება სისხლისაგან“.

* * *

ქვემოთ ქვეყნდება აქტი გერმანელი ფაშისტი არამზადების მიერ ზაპოროჟიეს ოლქის სოფელ ნოვო-ვასილიევკაში ჩადენილი მხეცობის შესახებ: „უანდახვის წინ გერმანელებმა დახვრეტის მუქარით უბრძანეს სოფლის ყველა მცხოვრებთ ზურგში ევაკუირებულიყვნენ. საბჭოთა მოქალაქეები ყოველნაირად ეწინააღმდეგებოდნენ გერმანიის მონობაში გარეკვას. მოსახლეობამ მიატოვა თავისი სახლები, გაიქცა მინდვრად. დიამალა ბალებსა და ხევებში. ჰიტლერელები დაძარწოდნენ ყველგან და ადგილზე ხოცავდნენ ყველას, ვისაც კი აღმოაჩენდნენ. დახვრეტილია მრავალი მშვიდობიანი მცხოვრები. ფაშისტმა ავაზაკებმა დასწვეს 700 საცხოვრებელი სახლი და დაიტაცეს მთელი ქონება, რასაც კი ფასი ჰქონდა. ასობით ოჯახი უსახლკაროდ დარჩა. გერმანელები სპობდნენ ყველაფერს, რის წაღებაც არ შეეძლოთ. მათ დაწვეს 5 წისქვილი, 2 ზეთსახდელი ქარხანა, ელექტროსადგური, მტს-ი, რაიონული საავადმყოფო. ამბულატორია, ხუთი სკოლა და სხვა შენობები. ფიცსა ვდებთ, რომ ულმობლად ვიძიებთ შურს წყეულ გერმანელებზე. ვიხოვთ წითელი არმიის მებრძოლებს შური იძიონ ფაშისტ ბანდიტებზე მათ მიერ ჩადენილი ყველა ბოროტმოქმედებისათვის“.

აქტს ხელს აწერენ: მასწავლებლები მარიამ ირურნენკო და ეკატერინე პოტიაკო, კოლმეურნეები იასონ ანდრეევი, თეოდოსია პოპოვა, ილარიონ ნაუმოვი, ივანე სტეპანოვი, ვასილ პოპოვი. სამების ეკლესიის მდივანი პეტრე ჩირეა და სოფლის სხვა მცხოვრებნი.

ამხ. ა. ი. ვიშინსკი ალჟირს გაემგზავრა

საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ა. ი. ვიშინსკი მის თანმხლებ პირებთან ერთად 18 ნოემბერს მოსკოვიდან გაემგზავრა საზღვარგარეთ, რათა მონაწილეობა მიიღოს, როგორც საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელმა, სამი მინისტრის მოსკოვის კონფერენციის გადაწყვეტილების თანახმად შექმნილი საკონსულტაციო საბჭოს მუშაობაში იტალიის საკითხებზე (საკდესი).

სერჟანტ მეჯრეველის დაჯილდოება

წითელი არმიის ავტოტრანსპორტით უზრუნველყოფის საქმეში, ავტოგადაზიდვისა და ყამირი გზების მშენებლობისა და ექსპლოატაციის დარგში მთავრობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია წითელი არმიის ნაწილების რიგითი, სერჟანტთა და ოფიცერთა შემადგენლობის ჯგუფი, მათ შორის მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“ დაჯილდოებული სერჟანტი დიმიტრი ვლადიმერის-ძე **მეტრეველი.**

ქრონიკა

უკრაინის პირველი ფრონტი, 18 ნოემბერი (საკდესის სპეც. კორ.). ორი კვირაც არ გასულა მას შემდეგ, რაც ჩვენმა ჯარებმა გაათავისუფლეს კიევი, და ეს საველოვანი ქალაქი უკვე ჯარის ზურგი იქცა. გუშინ საბჭოთა მეომრებმა ჩვენს ქვეყანას დაუბრუნეს კოროსტენი—ქალაქი, რომელიც მდებარეობს 150 კილომეტრზე კიევის ჩრდილო-დასავლეთით.

კოროსტენი მნიშვნელოვანი სარკინიგზო კვანძია, სადაც თავს იყრის ხუთი რკინიგზის ხაზი, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებენ ბელორუსიას, მარჯვენა ნაპირისა და დასავლეთ უკრაინას. ქალაქი პირდაპირი რკინიგზით დაკავშირებულია კიევთან, გომელთან, ვიტებსკთან და სხვა ქალაქებთან. კოროსტენის კვანძით რომ სარგებლობდნენ, გერმანელებს შესაძლებლობა ჰქონდათ ეწარმოებინათ მანევრირება რეზერვებით სამარი მოქმედების ბელორუსიისა და უკრაინის ახპარეზთა შორის, აგრეთვე თავიანთი ლრმა ზურგიდან მოემარაგებინათ უკრაინაში მყოფი თავიანთი ჯარები.

ჰიტლერელთა სარდლობამ კოროსტენი გადააქცია თავისი თავდაცვის მძლავრ დასაყრდენ პუნქტად. საბჭოთა ჯარები ცდილობენ მტრის წინააღმდეგობას და ბრძოლებით უახლოვდებოდნენ ამ დასაყრდენ პუნქტს. გერმანელებს ზედიზედ მოჰქონდათ კონტრიერიშები, მაგრამ ყველა ამ კონტრიერიშს წარმატებით იგერიებდნენ ჩვენი ქვეითი ჯარი, არტილერია და ტანკები. წითელი არმიის ნაწილები ყოველდღე ათავისუფლებდნენ ათობით დასახლებულ პუნქტებს. ჩვენმა ქვეგანაყოფებმა ქალაქი მალინი, ხოლო შემდეგ ჟიტომირის ოლქის რაიონული ცენტრები ბაზარი და კაგანოვიჩი (ხაბნოე) რომ დაიკავეს, მტერს დიდი ზარალი მიაყენეს და გავიდნენ კოროსტენის მისადგომებთან. მარტო რაიონულ ცენტრ კაგანოვიჩისათვის ბრძოლებში გაჟლეტილია ფაშისტთა 300 ჯარისკაცი და ოფიცერი.

კოროსტენისათვის ბრძოლები განსაკუთრებული გაფფრებით განირჩეოდა. ორი დღეღამის განმავლობაში არ შეწყვეტილა არტილერიის გრიალი. საბჭოთა მეიერშეები და ბომბდამშენები სწრაფ დარტყმებს აგემებდნენ მტრის ჯარებს. გერმანელებს კონტრიერიშებზე გამოჰყავდათ ათობით ტანკები და თვითმავალი ზარბაზნები. პეტრენკოს და ვოლოსოვის მსროლელთა ქვეგანაყოფები, საარტილერიო და სატანკო ნაწილებთან თანამშრომლობით ავიწროებდნენ ჰიტლერელებს. მათი მოქმედება ხასიათდებოდა დიდი მანევრულობით. ისინი გარს უვლიდნენ ჰიტლერელების ძლიერ გამაგრებულ პუნქტებს და თავს ესხმოდნენ მათ ფლანგებიდან და ზურგიდან. საბჭოთა ქვეითებმა სწრაფი ნახტომით გადალახეს მდინარე უჟი და შეუჩერებლივ დაიკავეს დასახლებული პუნქტი ნაროდიჩი. ამასთან აქ 600-ზე მეტი ჰიტლერელი გაჟლიტეს და ხელთ იგდეს დიდი დავლა.

ქალაქ კოროსტენის მისადგომებზე გაფფრებული ბრძოლები გაჩაღდა. ჰიტლერელები ცდილობენ შეუპოვარ წინააღმდეგობას ეწიოდნენ. მაგრამ უკუქცეულ იქნენ და ამასთან დიდი ზარალი განიცადეს. ორი დღის ბრძოლების შედეგად ქალაქი გაწმენდილ იქნა ფაშისტ დამპყრობთაგან. ჩვენმა ნაწილებმა ხელთ იგდეს დიდი დავლა. ბევრი საჭურველი, სამხედრო ქონების საწყობები და ეშელონები.

სუვოროვის სამხედრო სასწავლებლების მომავალი მონაფეების გაცილება

სუვოროვის სამხედრო სასწავლებლებისათვის კანდიდატების გადამრჩევმა საქართველოს რესპუბლიკურმა კომისიამ ამ დღეებში დაამთავრა შეტანილ განცხადებათა განხილვა. კომისიამ განიხილა დაახლოებით 800 განცხადება და გადაარჩია 100 კანდიდატი ნოვოჩერკასკისა და მაიკოპის სუვოროვის სამხედრო სასწავლებლებისათვის. გადარჩეული არიან 8-13 წლის ვაჟები თბილისიდან, ქუთაისიდან, სოხუმიდან, ბათუმიდან, ფოთიდან, ზუგდიდის, ჩაფურის, თელავის, ბორჯომისა და საქართველოს სხვა რაიონებიდან.

კანდიდატთა შორის არიან საბჭოთა კავშირის გმირის მაიორ ა. გეგეშიძის შვილები — ძმები ოთარი და ვლადიმერი, გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლაში დაღუპულის, სამამულო ომის გმირის ა. წურწუმიას შვილი — 11 წლის ალექსანდრე, სამშობლოსათვის ბრძოლებში დაღუპული ს. დეგულოვის შვილები—ძმები გიორგი და სელმი, მოქმედი არმიის რიგებში მყოფი გენერალ-მაიორ ვ. დამბერგის შვილი — ვლადიმერი, პარტიზანთა ერთ-ერთი რაზმის მეთაურის შვილი — ვლადიმერ კოროცკი, სამშობლოსათვის ბრძოლებში დაღუპული რიგითი წითელარმიელის შვილი — ნოდარ დარბაისელი და სხვ.

18 და 19 ნოემბერს კანდიდატების ორივე ჯგუფი თბილისიდან გაემგზავრა სწავლების ადგილისაკენ. მომავალი მოსწავლეები გააცილეს პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატების მუშაკებმა, ქალაქ თბილისის პიონერებმა და მოსწავლეებმა და მშობლებმა.

თბილისის სადგურის პერონზე 18 და 19 ნოემბერს გაიმართა მიტინგები. სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ სამხედრო კომისარი პოდპოლკოვნიკი ხვიჩია, საქ. ალკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. მჭედლიშვილი და სხვები. მომავალი მოსწავლეების სახელით გამოვიდნენ ზურაბ გიორგაძე, ვიქტორ კოსორუკოვი და სხვ. თბილისელმა პიონერებმა და მოსწავლეებმა წამასლელებს მიართვეს ყვავილების თაიგული.

მომავალ მოსწავლეებს გამცილებლებად გაჰყვნენ საქართველოს რესპუბლიკური ორგანიზაციების პასუხისმგებელი მუშაკები და წითელი არმიის ოფიცრები (საკდესი)

ქართველ მებრძოლთა ნერილიდან საქართველოს მშრომელებს

შურისძიების წმინდა გრძნობა გვაკაკუნებს ჩვენ მამულისა და თავისუფლების მოსისხლე მტერთან ბრძოლაში.

ჰიტლერის სისხლიანი ურდოები მოემართებოდნენ კავკასიისაკენ, რათა დაემონებინათ ჩვენი ხალხი, ჩაექროთ საუკუნეთა განმავლობაში შენახული წინაპართა მიერ გაჩაღებული კერა, შეელახათ ჩვენი დედების, ცოლების და დების ღირსება, დაემხოთ საბჭოთა საქართველო და ტევტონური კლანჭებით დაეხრჩოთ ჩვენი თავისუფლება, ქართველობა ამოეშალათ ქართულ მიწიდან.

კაციჭამია ჰიტლერს პრუსიული ჩექმით უნდოდა გაეთელა ჩვენი წმინდა მიწა-წყალი, სადაც მღერიდა უკვდავი რუსთაველი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, აკაკი წერეთელი, სადაც მთიდან ყიოინებდა ვაჟა-ფშაველა, სადაც მამულისადმი სიყვარულს გვინერგავდა ილია ჭავჭავაძე, სადაც პირველად გაშალა მძლავრი ფრთები ჩვენი საყვარელი ბელადის დიდი სტალინის გენიამ.

მაგრამ ვერაგმა მტერმა ვერ აღისრულა წადილი. კავკასიონის მისადგომები გადაიქცა მრავალ ათას ჰიტლერელ ავაზაკთა სასაფლაოდ.

სწორედ იმ დაძაბულ დღეებში, როდესაც საბჭოთა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები მოიცვა მრისხანე საშიშროებამ, კავკასიაში ჩამოვიდა დიდი სტალინის ერთგული მოწაფე—ამხანაგი ლავრენტი ბერია. თანახმად საყვარელი ბელადის დავალებისა, ამხანაგმა ბერიამ მტკიცე ხელით მოაწყო ამიერ-კავკასიის მისადგომების დაცვა, შეამჭიდროვა საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის ხალხთა ძალები მტრის შემოტევის უკუგდებისა და მისი განადგურებისათვის. ამხანაგ ბერიას მიერ დარაზმულმა და განმტკიცებულმა ჩვენი ფრონტის არმიებმა შეაჩერეს მტრის წინსვლა და შემდგომ დაამსხვრიეს ჰიტლერელთა ურდოები კავკასიონის ბჭესთან.

მიმართვა ვლადიმერ ილიჩის სახელობის ლენინის ორდენოსანი და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი № 70 ქარხნის მუშაკებისა

სომარი მასალათა მრეწველობის ყველა მუშისა და მუშა ქალისადმი, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკისა და მოსამსახურისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

გერმანელ დამპყრობთაგან ჩვენი სამშობლოს განთავისუფლების უდიდესი ზეიმი შორს აღარ არის. მაგრამ ჩვენ ვიცით—ასაა გვასწავლის ამხანაგი სტალინი, რომ სამხედროო გამარჯვება თავისთავად არ მოვა. იგი ბრძოლით მოიპოვება. იგი წითელი არმიის უნარიანი და გადამწყვეტი მოქმედებით უნდა მოიპოვოთ. იგი უნდა მოვამზადოთ საბჭოთა ქვეყნის ყველა მშრომ

საბჭოთა კავშირის რკინიგზელთა წერილი

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს

საბჭოთა კავშირის დიდ მარშალს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

ძვირფასო და საყვარელო იოსებ ბესარიონის-ძე!

თქვენს ისტორიულ მოხსენებაში დიდი ოქტომბრის რევოლუციის ოცდაექვსი წლისთავის შესახებ თქვენ ღრმად და ნათლად გამოხატეთ მთელი ჩვენი ხალხის აზრები, ფიქრები და მისწრაფებანი. თქვენ მკაფიოდ, ხალხურად ცხადყავით ის, რასაც თითოეული საბჭოთა ადამიანი განიცდის და გრძნობს ახლანდელ დაუვიწყარ დღეებში—ეს არის სიამაყის გრძნობა თავისი სამშობლოსათვის, ლენინ-სტალინის დიადი პარტიისათვის, გმირი წითელი არმიისათვის, ჩვენს სახელოვან გამარჯვებათათვის.

როგორც ხალხის ბელადმა, თქვენ მთელს მსოფლიოს დაანახვეთ, სად არის საბჭოთა კავშირის ძალისა და უძლეველობის წყარო. თქვენ გვიჩვენეთ ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელის როლი და ადგილი ფრონტზე და ზურგში მოწყეულ გამარჯვებებში.

ჩვენ, რკინიგზელებმა, ღრმა მოელვარებით მოვიაზმენით და ავითვისეთ თქვენ მიერ მოცემული მაღალი შეფასება რკინიგზელთა მუშაობისა ისეთ ისტორიულ მომენტში, როდესაც მამაცი წითელი არმია თქვენი ხელმძღვანელობით შესანიშნავ გამარჯვებებს აღწევს და გერმანელ დამპყრობლებისაგან ათავისუფლებს საბჭოთა მიწა-წყალს, ანადგურებს რა საძულველ მტერს. ჩვენ ღრმა პატრიოტულ კმაყოფილებას განვიცდით ამის შეგნებით, რომ ფრონტისადმი დახმარების საქმეში დიდი როლი შეასრულა ჩვენმა ტრანსპორტმა, უწინარეს ყოვლისა რკინიგზის ტრანსპორტმა. ჩვენ კარგად ვიცით, რომ, თუ რკინიგზის ტრანსპორტი მთელ საბჭოთა სახელმწიფოსთან, მთელ სოციალისტურ ეკონომიკასთან ერთად უძღებს მკაცრ შემოწმებას ახლანდელ ომში, თუ რკინიგზის ტრანსპორტმა შესძლო წარმატებით შეესრულებინა ის პასუხსაგები ამოცანები, რასაც მის წინაშე აყენებდნენ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი, რომელსაც თქვენ მეთაურობთ და ხელმძღვანელობთ, და უმაღლესი მთავარი სარდლობა, ყოველივე ამას საბჭოთა რკინიგზელები, უწინარეს ყოვლისა, უნდა გმადლობდნენ თქვენ, ჩვენს საყვარელ ბელადს, მეგობარსა და მასწავლებელს.

საბჭოთა რკინიგზელებმა იციან, რომ სწორედ თქვენი უშეალო ხელმძღვანელობით შემუშავებული და შესრულებული ხუთწლედებია მეორბები რკინიგზის ტრანსპორტმა დასძლია ჩამორჩენა, ჩვენს ინდუსტრიასთან ერთად გადაიქცა სახალხო მეურნეობის მოწინავე დარგად და გახდა საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური და სამხედრო ძლიერების განმტკიცების მძლავრი ფაქტორი.

სტალინური ხუთწლედების მანძილზე რკინიგზის ტრანსპორტი გამდიდრდა და ტექნიკურად რეკონსტრუირებულ იქნა.

საბჭოთა რკინიგზელები არასოდეს არ დაივიწყებენ, რომ თქვენი მზრუნველობისა და თქვენი გამჭრიახობის მეოხებით რკინიგზის ტრანსპორტმა ხუთწლედების მანძილზე მიიღო მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა—ათასობით ახალი მძლავრი ორთქლმავალი, ასობით ახალი ვაგონი, სათადარიგო ნაწილები, რელსები, ლითონი. არასოდეს არ დაივიწყებენ რკინიგზელები თქვენს ოთხმოცთას ვაგონს, რომლებიც თქვენი ბრძანებით ერთ წელიწადში დაამზადა მრეწველობამ.

თქვენი უშუალო და მზრუნველი ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის რკინიგზებზე აღიზარდნენ და გამოიწრთვნენ ათასობით შესანიშნავი მოწინავე მუშები და მუშა ქალები, ინჟინრები და ტექნიკოსები, რომელნიც ბოლომდე ერთგულნი არიან სამშობლოსი და ლენინ-სტალინის დიადი საქმისა.

არასოდეს არ დავიწყებთ 1935 წელს მიღებაზე თქვენს მიერ წარმოთქმულ ისტორიულ სიტყვებს რკინიგზის ტრანსპორტის როლისა და მნიშვნელობის შესახებ ჩვენი სახელმწიფოსათვის. სწორედ ეს თქვენი სიტყვა გახდა ბრძოლისა და გმირობის ნამდვილ გამოსავალი პროგრამა რკინიგზის ტრანსპორტზე.

რკინიგზელთა შეგნებაში ღრმად აღიბეჭდა თქვენ მიერ 1935 წლის 30 ივლისს ნათქვამი სიტყვები ომის შესახებ, რომ, დაწყებული ყველაზე დიდი ხელმძღვანელებით და გათავებული პატარა მუშაკებით, თვით მეისრით, ტრანსპორტზე ყველანი დიდი, ყველანი მნიშვნელოვანი არიან, რადგან ტრანსპორტი წარმოადგენს კონვეიერს, სადაც მნიშვნელოვანი თითოეული მუშაკის თითოეული მცირე ხრაბნის მუშაობა. ამ ბრძნულმა სიტყვებმა თავიანთი მკაფიო დადასტურება ჰპოვეს ომით, რომ სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა რკინიგზის ტრანსპორტის 127 მუშაკს, დაწყებული სამალხო კომისრით და გათავებული მეისრით. ჯერ კიდევ მაშინ თქვენმა სიტყვებმა რკინიგზელთა შეგნებაში აამაღლა მათი შრომის, მათი პროფესიული ღირსების მნიშვნელობა და განუმტკიცა მათ ჩვენი ქვეყნის წინაშე თავიანთი მოვალეობისა და პასუხისმგებლობის შეგნება.

რკინიგზელებმა იციან, რომ ყველა ამ წლების მანძილზე და სამამული ომის წლებში თქვენ, ამხანაგო სტალინ, ზრუნავდით ტრანსპორტისთვის, რკინიგზელთათვის, თქვენ პირადპირ ხელმძღვანელობდით რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობას. ის სწორედ ამიტომ თავიანთ წარმატებებს, რომლებიც თქვენ აღნიშნეთ მოხსენებაში, რკინიგზელები უწინარეს ყოვლისა უნდა გმადლობდნენ თქვენ, ისევე როგორც წითელი არმიაც თავის გამარჯვებებს უნდა უმადლოდეს, უწინარეს ყოვლისა, თქვენს გენიალურ და ბრძნულ ხელმძღვანელობას.

ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელთან ერთად ჩვენ მხურვალედ მივესალმებით თქვენს დაჯილდოებას სუვოროვის პირველი ხარისხის ორდენით.

თქვენი მოწოდებით აღფრთოვანებულნი, თქვენი პრაქტიკული მითითებებით შეიარაღებულნი. გამთბარნი თქვენი მამობრივი მზრუნველობით. სამშობლოსადმი სიყვარულით, აუზიზღარი და ვერაგი მტრისადმი თქვენი შუიდა სიძულვილით, საბჭოთა რკინიგზელები არ შეჩერებულან თქვენ წინაშე მდგარი ამოცანების შესრულების სიძნელეთა წინაშე. თქვენი მგზნებარე და ღრმა სიბრძნით აღსავსე ისტორიული სიტყვები სამამულო ომის დღეებში ჩვენთვის, ისე, როგორც მთელი საბჭოთა ხალხისთვის, წარმოადგენენ მოქმედებისა და გამარჯვებათა ორგანიზაციის საბრძოლო პროგრამას.

ჩვენ, რკინიგზელებმა, ვიცით: როდესაც მატარებელი გზის რთულ პროფილზე უამინდობის ძნელ პირობებში სძღვება აღმართს, დაღმართს, მიზვეულ-მოზვეულ და კლაკნილ ადგილებს, იცავს რა გრაფიკსა და სიჩქარეს, და წარმატებით აღწევს დანიშნულების სადგურს,—ეს არის ომის დამსახურება, ვინც კარგად გაამზადა ლოკომოტივი, ვინც გამოაწყო იგი, ეს არის იმ მემანქანის დამსახურება, რომელსაც ოსტატურად მიჰყავდა შემადგენლობა.

სწორედ თქვენ, ვისაც ხალხში რევოლუციის ლოკომოტივის დიად მემანქანეს უწოდებენ, თქვენ, ამხანაგო სტალინ, ამზადებდით, აწყობდით, ლოკომოტივს დიდი გეგანება მიეცით მატარებელს და მტკიცედ მიიყვანეთ ჩვენი ქვეყანა ძნელი ომრართებით გამარჯვებებამდე მშვიდობიანი მშენებლობის წლებში და ძლევამოსილად მიგყავთ იგი ომეამად დიდი სამამულო ომის წლებში.

თქვენგან, რევოლუციის ლოკომოტივის დიად მემანქანისაგან, რკინიგზის ტრანსპორტის მუშები და მოსამსახურენი მუდამ სწავლობდნენ და სწავლობენ თუ როგორ უნდა აშრომონ საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ, როგორ გადალახონ ყოველგვარი სიძნელენი, არ მიეცნენ პანიკას წარუმატებლობის დროს და არ იყოყოჩონ წარმატებათა გამო. თქვენგან, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, საბჭოთა რკინიგზელები სწავლობენ თუ როგორ უნდა აქციონ პრაქტიკულ საქმეებად სამშობლოსადმი სიყვარული და მტრისადმი სიძულვილი.

პირდაპირ ვიტყვით, ჩვენი მუშაობა არ არის ადვილი. დღე და ღამ, სიცივესა და ავდარში ერთი წუთითაც არ შეიძლება ტრანსპორტის დიადი კონვეიერის მოქმედების დარღვევა. საჭიროა შეუპოვრად და დაჟინებით დაძლევა ყოველგვარი სიძნელისა და ნაკლისა რაც მის გზაზე გვხვდება ზურგშიც და ფრონტის მთავარ უბნებზეც, ექსპლოატაციაშიც და რკინიგზების აღდგენის დროსაც. ჩვენ, რკინიგზელებს, რომლებიც თქვენ აღგზარდეთ, ჩვენ, მემანქანეებს, კონდუქტორებს, მეისრეებს, გზის შემომვლელებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს, აღმდგენლებს, ტრანსპორტის ყველა პროფესიის მუშაკებს, მუდამ გვახსოვს თქვენი საბრძოლო მოწოდებანი სიძნელეთა და ნაკლოვანებათა ბოლშევიკური დაძლევისაკენ; ჩვენ გვახსოვს, თუ რა რთულ პირობებში გიხდებათ თქვენ რევოლუციის ლოკომოტივის ოსტატურად და ძლევამოსილად ტარება, ყოველგვარი დაბრკოლების გადალახვა თავის გზაზე, და ეს ახალ ძალებსა და ენერგიას გვმატებს, რათა დავძლიოთ სიძნელენი და ვებრძოლოთ ნაკლოვანებებს ჩვენს მუშაობაში, მკაფიოდ და შეუფერხებლად მივაწოდოთ ყოველივე საჭირო ფრონტს, სახალხო მეურნეობას.

თქვენ მიერ ჩვენი შრომის შეფასებამ და ტრანსპორტისა და მისი ადამიანებისთვის მამობრივი მზრუნველობის მკაფიო გამოხატულებამ, რაც ცხადჰყო ტრანსპორტის 127 საუკეთესო ადამიანისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებამ, ღრმად აგვაღელვა და გაგვახარა ჩვენ. მაგრამ ჩვენ გვესმის, რომ ეს კიდევ უფრო დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს, ჩვენ ნათლად წარმოდგენილი გვაქვს, თუ რამდენად დიდია ჩვენი ვალი სამშობლოს წინაშე, ხალხის წინაშე, წითელი არმიის წინაშე, თქვენს წინაშე.

ყოველი ჩვენგანი, ყოველი რკინიგზელი ღღეს, უფრო მეტად ვიდრე ოდესმე, ეუბნება თავის თავს:

იყავი ღირსი სტალინის შეფასებისა. სტალინის ჯილდოსი,

ღირსეულად, ბოლომდე გაამართლე იგი,

იმუშავე ისე, რომ შენი დახმარება ფრონტისადმი ღღითი ღღე მატულობდეს.

სადაც უნდა იყო—აღსადგენ ხიდთან რკინიგზის ლიანდაგთან, ლოკომოტივის რევერსთან, სელექტორთან, ისართან, სადგურის ლიანდაგებზე, თუ დაზგასთან—გაკეთე ყველაფერი, რათა დაეხმარო რევოლუციის ლოკომოტივის დიად მემანქანეს, ჩვენს შშობლიურ სტალინს, სწრაფად მიიყვანოს ჩვენი მატარებელი დანიშნულების ადგურამდე, მტერზე სრულ და საბოლოო გამარჯვებამდე.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ჩვენ სტალინურად არ მოვიქცეოდით, თუნდაც ერთი წუთით რომ გვეყოყოჩა, ორგანიზაციაც რომ დავკმაყოფილებულიყავით მიღწეულით და თვითკრიტიკულად აღარ გვემხილებინა ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი, შეგვეწყვიტა ბრძოლა მათ წინააღმდეგ.

უმაღლესი მთავარსარდლის 1943 წლის 7 ნოემბრის ბრძანების სიტყვები ომის შესახებ, რომ „ახლა, როცა წითელი არმია ერტყამს მტერს დნეპრს გაღმა და გზას იკაფავს ჩვენი ქვეყნის დასავლეთი საზღვრებისაკენ, განსაკუთრებით საშიში იქნებოდა თავი მიგვეცა უდარდელობისათვის, თვითდამშვიდებისათვის და სათანადოდ არ შეგვეფასებინა მომავალი ბრძოლის სერიოზული სიძნელენი“, ჩვენთვის წარმოადგენს კანონსა და გზისმაჩვენებელ ვარსკვლავს მთელს ჩვენს შემდგომ მუშაობაში.

ჩვენ მუდამ გვეხსომება თქვენი სიტყვები, რომ „ჩვენ მთელი ჩვენი ძალ-ღონე უნდა დავდაბოთ, რათა საბოლოოდ გავანადგუროთ მტერი“.

ამ თქვენს მითითებებს ჩვენთვის, რკინიგზელთათვის, განსაკუთრებით დიდი და სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, რადგან ჩვენ ომიანობის დროის მესამე ზამთარში შევდივართ.

დასაღუპავად განწირული ჰიტლერელი ბარბაროსები, უკან იხევენ რა წითელი არმიის მძლავრი დარტყმების შედეგად, უძლური გაბოროტებით მხეცურად ანგრევენ რკინიგზის მეურნეობას.

რკინიგზელები და რკინიგზის ჯარები, რომელთა მეცადინეობა თქვენი ბრძანებით მტკიცედ გაერთიანებულია, ყველაფერს გააკეთებენ, რაც შეაძლებელია, რათა კიდევ უფრო სწრაფად და მაღალხარისხოვნად აღადგინონ რკინიგზები და უზრუნველჰყონ მათი შეუფერხებელი მუშაობა ზამთარში.

თქვენ მიერ დასმული ამოცანა,—აღვადგინოთ დანგრეული ქალაქები და სოფლები, მრეწველობა, ტრანსპორტი და სოფლის მეურნეობა ფაშისტთა მონობისაგან განთავისუფლებულ რაიონებში, ჩვენგან მოითხოვს განსაკუთრებით ენერგიულ მუშაობას ზამთრის პირობებში.

ფრონტზე ტვირთების მიზიდვის ამოცანა, გათავისუფლებული ოლქებისა და რესპუბლიკების მეურნეობის აღსადგენად მასალების გადაზიდვის ამოცანა რკინიგზელებისაგან მოითხოვს განსაკუთრებულ სიზუსტეს, განსაკუთრებულ აკურატობას ესესტიეეს სამხედრო დისციპლინასა და დაძაბვას მუშაობაში, მთავრობისა და მთავარი სარდლობის ყველა დავალების უნაკლოდ შესრულებას ტვირთზიდვის დარგში.

რკინიგზის ტრანსპორტის მუშები და მოსამსახურენი პირობის გაძლევენ თქვენ, ამხანაგო სტალინ, დაუღალავად, თავდადებით იმუშაონ თავიანთ საბრძოლო პოსტზე, რათა პირნათლად შეასრულონ ბოლომდე თავიანთი ჩვენ სამშობლოს წინაშე.

ჩვენ სიტყვას ვაძლევთ ჩვენს ქვეყანას, წითელ არმიას, სიტყვას გაძლევთ თქვენ—ბელადსა და უმაღლეს მთავარსარდალს:

ზუსტად გრაფიკის მიხედვით, როგორც ამას სამხედრო სარდლობა მოითხოვს, გავატაროთ ჯარების საჭურვლის, საომარი მასალის, სურსათისა და ჩაცმულობის ტრანსპორტები ფრონტისთვის.

მთავრობის მიერ ზუსტად დაწესებულ ვადებში და სრული მოცულობით შევასრულოთ მატარებლების დატვირთვის, გადმოტვირთვის, გადაცემის სახელმწიფო დავალებანი.

ლიანდაგთა და ნაგებობათა სწრაფი აღდგენით უზრუნველვყოთ წითელი არმიის შემდგომი ძლევამოსილი შეტევა, მოვახდინოთ შინაგანი რესურსების ფართო მობილიზება აღდგენითი სამუშაოებისა და მშენებლობისათვის. ყოველნაირად გავაფართოოთ ზურგის გზებისა და საწარმოთა კოლექტივების საშეფო დახმარება იმ გზებისა და სატრანსპორტო საწარმოებისადმი, რომელნიც განთავისუფლდნენ და თავისუფლდებიან გერმანელ დამპყრობლებისაგან.

რკინიგზელები ზამთარს იწყებენ მტკიცედ გადაწყვეტილებით უზრუნველყოფ რკინიგზის ტრანსპორტის შეუფერხებელი მუშაობა 1943-44 წლის ზამთარში, უზრუნველჰყონ თოვლის ზვავებთან ბრძოლის სანიმუშოდ მოწყობა, ამასთან ფართოდ ჩაბაბან მუშაობაში ადგილობრივი მოსახლეობის ძალები და უნარიანად გამოიყენონ თოვლსაწმენდები.

დაჩქარონ ორთქლმავლებისა და ვაგონების მიმოსვლა, მიიღწიონ რკინიგზების მტკიცე მუშაობას. მოძრაობის გრაფიკისათვის, მატარებლების შეუფერხებლად მიღებისა და გაგზავნისათვის ბრძოლა გადაიქცეონ რკინიგზელთა მთელი მუშაობის საფუძვლად.

თვალისჩინივით გაუფრთხილდნენ რკინიგზის მეურნეობას. მიიღწიონ ლოკომოტივების, ვაგონების, ლიანდაგისა და კავშირგაბმულობის სიჩქარეს და მათი მოვლისა და რემონტის მაღალ ხარისხს.

გააძლიერონ ბრძოლა რეზერვების დაგროვებისათვის. შინაგანი რესურსების ფართო მობილიზაციისათვის, მატერიალური ბაზის ყოველმხრივ განმტკიცებისათვის, ძალებისა და სახსრების უნარიანად გადანაწილებისათვის რკინიგზის ტრანსპორტის თითოეულ საწარმოში. მომჭირნეობა გასწონან ყველგან და ყოველთვის, მომჭირნეობა გასწონან ყველაფერში. გაიფართოონ სათადარიგო ნაწილების წარმოება და დეტალების რენოვაცია.

მიიღწიონ ყველა რკინიგზელის მიერ თავისი სპეციალობის დაუფლებას და სრულყოფას, რაშიაც მათ უნდა მიბაძონ გმირი წითელი არმიის ოფიცერთა და მებრძოლთა მაგალითს.

ყოველნაირად განავითარონ სოციალისტური შეჯიბრება, ამასთან ყველა რკინიგზელთა შორის ფართოდ გაავრცელონ მუშაობის მოწინავე მეთოდები.

განუხრელად განამტკიცონ სამხედრო დისციპლინა, გააძლიერონ ორგანიზებულობა და წესრიგი რკინიგზის ტრანსპორტზე.

ჩვენ არ დავზოგავთ არც ძალ-ღონეს, არც ჯანს, არც ენერგიას, მთელს ჩვენს სულსა და გულს მოვახმართ საქმეს და ჩვენს ფიცს თქვენს წინაშე, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, ჩვენ პირნათლად შევასრულებთ ბოლომდე. ჩვენ მივბაძავთ ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის მაგალითს, რომელიც იმარჯვებს საბჭოთა კავშირის დიდი მარშლის ამხანაგ სტალინის სახელობით.

მიიღეთ ჩვენგან, ჩვენო ძვირფასო და საყვარელო ბელადო და მასწავლებელო, მხურვალე რკინიგზული სალამი და საუკეთესო სურვილები ჯანმრთელობისა და ძალ-ღონისა.

გაუმარჯოს ჩვენს დიად საშშობლოს!

გაუმარჯოს ჩვენს წითელ არმიას!

გაუმარჯოს ჩვენს ლენინ-სტალინის დიად პარტიას!

გაუმარჯოს დიად გამარჯვებათა ორგანიზატორს, ჩვენს შშობლიურს, მთელი სულით და გულით საყვარელ ამხანაგ სტალინს!

წერილი თავიანთ კრებებზე განიხილეს რკინიგზის ტრანსპორტის ორგანიზაციათა და დაწესებულებათა: საორთქლმავლო დეპოების, სადგურების, სავაგონო უბნებისა და ვაგონსარემონტო პუნქტების, ლიანდაგო და კავშირგაბმულობის დისტანციების, სამხედრო-აღმდგენი ორგანიზაციების, რკინიგზის ჯარების ნაწილების, გზათა სახალხო კომისარიატის ქარხნებისა და მშენებლობათა, გზათა სახალხო კომისარიატის სასწავლებელთა და დაწესებულებათა ყველა სარკინიგზო პროფესიის მუშაკებმა.

წერილს ხელი მოაწერა 1.566.888 კაცმა.

სრულიად-საკავშირო კონფერენცია დაზგათმშენებლობის საკითხებზე

18 ნოემბერს მოსკოვში გაიხსნა სრულიად-საკავშირო კონფერენცია დაზგათმშენებლობის საკითხებზე. კონფერენციის დელეგატთა შორის არიან კონსტრუქტორები, საწარმოთა დირექტორები, ტექნოლოგები, საამქროთა უფროსები, ოსტატები. თავი მოიყარეს მრეწველობის ცხრა დარგის დაზგათმშენებლებმა, რომელთაც სათავეში უდგანან საბალხო კომისრები: დაზგათმშენებლობისა — ამხ. ეფრემოვი, საავიაციო მრეწველობისა — ამხ. შახურინი, სატანკო მრეწველობისა — ამხ. მალიშევი, შეიარაღებისა — ამხ. უსტინოვი, საომარი მასალებისა — ამხ. ვანიკოვი, მძიმე მანქანათმშენებლობისა — ამხ. კაზაკოვი, საშუალო მანქანათმშენებლობისა — ამხ. აკოფოვი, ელექტრომრეწველობისა — ამხ. კაბანოვი. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეი მოადგილე ამხ. საბუროვი, საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. პოპოვი, მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ა. ა. ბაიკოვი და სხვები.

მოხსენებით სსრ კავშირში დაზგათმშენებლობის უკანლოესი ამოცანებისა და დაზგების გამოშვების გადიდების თირითად ღონისძიებათა შესახებ გამოვიდა დაზგათმშენებლობის საბალხო კომისარი ამხ. ეფრემოვი.

— საბჭოთა დაზგათმშენებლები, — ამბობს მომხსენებელი,—თავდაცვის საწარმოებს ამარაგებენ საუცხოო ხარისხის დაზგებით. დაზგათმშენებლობის მრეწველობამ ღირსეულად ჩაბარა საომარი დროის გამოცდა. შექმნილია ყველა წინაპირობა ტანკების, თვითმფრინავების, შეიარაღებისა და საომარი მასალის დასამზადებლად და გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებული რაიონების მეურნეობის აღსადგენად დაზგების გამოშვების შემდგომი მკვეთრი გადიდებისათვის. პირველ რიგში საბჭოთა დაზგათმშენებლები ვალდებულნი არიან მომამარაგონ თავდაცვითი მრეწველობა, შავი მეტალურგია, ქვანახშირის მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, სავსებით დაეკმაყოფილონ მეურნეობის „ს ემნიშვნელოვანესი დარგები სულ სხვადასხვა ტიპის დაზგებით. დაზგათმშენებლების საბრძოლო ამოცანაა ტექნიკურად ხელახლა შეაიარაღონ ჩვენი ინდუსტრია საომარი დროის ტექნოლოგიის შესაბამისად, მოგვცენ მეტი მაღალნაყოფიერი საგრეგატო დაზგები მანქანების ნაკადური გამოშვებისათვის.

მომხსენებელი ხაზს უსვამს, რომ თავდაცვითი მრეწველობისათვის სპეციალური დაზგების გამოშვების გადიდების ამოცანა მოითხოვს ახალი ტექნოლოგიის გაბედულად და ჯადაჯრით დანერგვას დაზგათმშენებლობაში. აუცილებელია, კერძოდ, ფართოდ გამოვიყენოთ წარმოების ნაკადური მეთოდები, რომლებიც. როგორც გვიჩვენებს ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ გამოცდილება, საგსებით ამართლებენ თავის დანიშნულებას დაზგათმშენებლობის მრეწველობაში. პირველ რიგში ნაკადური წარმოება დანერგილ უნდა იქნას ისეთ საწარმოებში, როგორიც არის „კალიბრი“, „სტანკოლიტი“, გორკის ქარხანა ნღარაგი დაზგებისა და სხვები. დაზგების უდიდესი რაოდენობა—იგი მრავალ ათეულ ათასს უდრის—საჭირო იქნება გერმანელი ოკუპანტებისაგან განთავისუფლებულ რაიონებში მრეწველობის აღსადგენად. სულ მომავალ წელს ერთიორად მეტი დაზგები უნდა იქნას გამოშვებული, ვიდრე მიმდინარე წელს, ხოლო შემდეგ წლებში ეს ზრდა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნება, დაზგათმშენებლობის ასეთი გაჭანება შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ გადავალთ ნაკადურ წარმოებაზე.

ამავე დროს აუცილებელია გადაჭრით განვახორციელოთ შრომატევადი სამუშაოების მექანიზაცია, გამოვიყენოთ დეტალების ტრანსპორტირებისა და აწევის ახალი მეთოდები, ხიდისებრი ამწეებით შეავცვალოთ ადგილობრივი ამწეებით, კერძოდ, პნევმატურებით, ფართოდ გამოვიყენოთ დაკიდებული კონვეიერები და სპეციალური ასაწევი ურიკები. საგსებით რეალურია ამოცანა დაზგების გამოშვების გადიდებისა სულ მცირე 10-15 პროცენტით მხოლოდ შრომის უკეთესი ორგანიზაციისა და რაციონალიზატორული მუშაობის გზით.

მომხსენებელმა დიდი ყურადღება მიაქცია მუშების კვალიფიკაციის ამაღლებას და ახალ დაზგათმშენებელთა მომზადებას. კადრების მომზადება ისე უნდა იქნას დაყენებული, რომ მეორე ქარხანაში მოსვლიდან 2-3 თვის შემდეგ მუშას შეეძლოს ნორმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება. უახლოეს 2-3 წელიწადში საბჭოთა დაზგათმშენებლობა მოითხოვს რამდენჯერმე მეტ ინჟინერებსა და ტექნიკოსებს, ვიდრე ახლა. ამასთან დაკავშირებით 1944 წელს საჭიროა გაიხსნას კიდევ რამდენიმე ინსტიტუტი სპეციალისტების მოსამზადებლად. შეიქმნას დაზგათმშენებლობის დამატებითი ფაკულტეტები მთელ ტექ. უმაღლეს სასწავლებლებში, გადიდდეს ტექნიკუმების ქსელი.

მოხსენების შემდეგ დელეგატებმა დაათვალიერეს დაზგების გამოფენა. დაზგათმშენებლობის მრეწველობის 16-მა საწარმომ წარმოადგინა აქ თავისი პროდუქციის ნიმუშები. (საკდელი).

გუმბრინელების პაზრიოზული საქმეები

(„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან).

გუმბრინი ივივე ფლორიდინია, განსაკუთრებული თვისების თიხა, რომელიც აუცილებელია ნავთის მრეწველობაში იმისათვის, რომ ნავთობიდან მიიღონ სხვადასხვა ზეთები, სხვადასხვა ხარისხის საწვავი და მათ შორის მაღალოქტანური ბენზინი. აქედან გასაგებია, თუ რა დიდი ამოცანები აკისრიათ გუმბრინის მაღაროელებს, რა დიდ მოთხოვნას უყენებს მათ ფრონტი, გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ ჩვენი შემტევი წითელი არმიის მიერ მტერზე საბოლოო გამარჯვების მოპოვების დიადი ამოცანა.

გუმბრინელი მაღაროელები, რომლებსაც შეგნებული აქვთ მათ წინაშე მდგარი ამოცანები, გაორკეცებული ენერგიით, ფრონტული თავდადებით მუშაობენ იმისთვის, რომ ნავთის მრეწველობა მოამარაგონ საკმაო რაოდენობის გუმბრინით. გუმბრინელი სტახანოველებისა და სემიოვლოსელების შრომამ უკვე მოგვცა ნაყოფი. მიმდინარე წლის 1 ნოემბრისათვის გუმბრინის გამოღებისა და დაფქვის ათი თვის გეგმა მათ შესრულებული აქვთ გადაჭარბებით, (მაღაროთა სამმართველოს დირექტორი დ. ჩიტიძე, პარტორგანიზაციის მდივანი ნ. ფაჩუაშვილი).

მოწინავე ადგილი უკავია და განსაკუთრებით მაღალ საწარმოთ მაჩვენებლებს იძლევა გუმბრინის პირველი მაღაროს კოლექტივი (მაღაროს უფროსი გრ. მშვენიერაძე), რომელმაც წარმატებით შეასრულა 10 თვის გეგმა, ხოლო ნოემბერში ყოველდღიურ დავალებებს 130-140 პროცენტით ასრულებს. ამ მაღაროში პირველი ადგილი უკავია ამხ. მ. გურეშიძის ცვლას. პირველი მაღაროს მოწინავე სემიოვლოსელი მნგრეველები შ. გურეშიძე, გ. ქუთათელაძე, რ. გურეშიძე, ვ. გურეშიძე და ვ. თუთბერიძე ცვლაში სისტემატურად იძლევიან 1,5-2 ნორმას.

ასევე კარგად მუშაობს მეორე მაღაროს (მაღაროს უფროსი ა. ქებაძე). ამ მაღაროს მოწინავე ადამიანები არიან ი. უშვერიძე, ვ. გოგიძე, ი. კოჩბარი, დ. მოროზოვი, შ. ბზიკაძე და სხვ.

სემიოვლოსური მოძრაობა გუმბრინის მემაღაროელებს შორის დაწყებულ იქნა ტყიბულელ სემიოვლოსელთა გამოცდილების საფუძველზე ამ ორი თვის წინათ. სემიოვლოსის მეთოდით მუშაობა გუმბრინის მონგრევაზე პირველად სცადეს მნგრეველებმა ი. ნიქაბაძემ, გ. გიორგელიძემ და ვ. სინაურიძემ. პირველი ცდებიდანვე მათ კარგი შედეგი მიიღეს და გუმბრინის შრეების მონგრევაში მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს. ამ სამი სემიოვლოსელის მაგალითს მალე სხვებმაც მიბაძეს და ახლა გუმბრინის მაღაროებში ათობით სემიოვლოსელები ჰყავთ.

პირველ და მეორე მაღაროსთან შედარებით უფრო სუსტად მუშაობს მესამე მაღაროო (მაღაროს უფროსი კ. ჩილინგარიდი), სადაც სემიოვლოსური მეთოდებით მუშაობა ჯერ კიდევ არ არის ფართოდ დანერგილი.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ ი. ბ. სტალინის 1943 წლის 6 ნოემბრის ისტორიული მოხსენების საპასუხოდ გუმბრინელებმა აკისრეს 15 დეკემბრისათვის დაამთავრონ გუმბრინის ღამღოების წლიური გეგმის შესრულება და გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან განთავისუფლებული ნავთიანი რაიონების დასახმარებლად წლის ბოლომდე გამოიღონ მრავალი ათასი ტონა გუმბრინი. გუმბრინის მაღაროელთა გარდა ასევეთვე ვალდებულებები იკისრა გუმბრინის სოფელ ქალაქის (უფროსი ა. ფ. ფარეულიანი) კოლექტივმაც. მიღწევებთან ერთად არსებობს ნაკლოვანებებიც, განსაკუთრებით ეს ეხება გუმბრინის ტრანსპორტირებას. ამ მდგომარეობას სერიოზული ყურადღება ენდა მიექცეს „ნეფტასბატომი“ თბილისის კანტორამ, რომელიც გუმბრინის საწარმოებს ეროვნულ ხელმძღვანელობას უწევს.

დ. ლომთათაძე

გუმბრინის წარმოების მოწინავე მაღაროელები. სურათზე: პირველი მაღაროს უფროსი ამხ. გ. მშვენიერაძე; სემიოვლოსელი მნგრეველები შ. გურეშიძე და შ. ბზიკაძე; სტახანოველი მეჯალამბრე ნადო გიორგაძე, რომელიც მომსახურებას უწევს ორ მოტორს; სტახანოველი ზეინკალი მ. ყმაკინი. კუთხეში—მეორე მაღაროს უფროსი ა. ქებაძე და ცვლის უფროსი გ. მიქაძე ამოწმებენ ახალი სანგრევიდან გამოღებული გუმბრინის ხარისხს.

ფოტო რ. აკოფოვისა

დაამთავრეას საშემოდგომო თესვა

ხაშურის რაიონის კოლმეურნეობებმა დაამთავრეს საშემოდგომო თესვა, დასთესეს 8.614 ჰექტარი. თესვის გეგმები გადამეტებით შეასრულეს სოფ. ქემფერის, კლდის წყაროს, გომის, ნარეჯების, ტეზერის და მთელმა რიგმა სხვა კოლმეურნეობებმა. კოლმეურნეთა კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადებმა გერმანელ ფაშისტ ოკუპანტებისაგან განთავისუფლებულ რაიონთა კოლმეურნეობების დახმარებისათვის დასთესეს 25 ჰექტარი ხორბალი.

კოლმეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს მზრალად ხვნის გეგმაც, მოხნეს 1.500 ჰექტარით მეტი, ვიდრე შარშან ამ დროისათვის იყო მოხნული. გომის კოლმეურნეობამ გეგმის გადამეტებით მოხნა 78 ჰექტარი, პატარა ფლევის კოლმეურნეობამ — 66 ჰექტარი.

გავაძლიეროთ ხვნა-თესვის ჯემპები

სილნაღი („კომუნისტის“ ხაკ. კორ.). რაიონის ბევრ კოლმეურნეობაში წარმატებით მიმდინარეობს საშემოდგომო ხვნა-თესვა. კოლმეურნეები, აღფრთოვანებულნი უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ **სტალინის ისტორიული** მოხსენებით და ბრძანებით, თავდადებით შრომობენ თესვის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

სოფ. ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ 330 ჰექტარზე მაღალხარისხოვნად დაამთავრა თესვა, ხვნა-თესვაში კარგად გამოიყენა მუშა საქონელი. თესვის გეგმები წარმატებით შესრულეს აგრეთვე ბოდბისხევის კოლმეურნეობა „წითელმა ოქტომბერმა“, ტიბაანის მოლოტ

სახელოვანი გამარჯვების წლისთავი

„უნდა ვთქვათ, რომ კავკასიის მთები არა მარტო სილაშაზეს შეიცავენ, არამედ ამაყი კლდეების ეს წყება იქნება ის მძლავრი დაბრკოლება, რომელზეც დაიმსხვრევიან რეაქციის ყველა ძალები...“

ს. კიროვი

ქალე ბოგოსხიძე

სიმღერა სოციალისტური შრომის გმირ ლ. პ. ბერიაზე

დიდ მხედარმთავრის მარჯვენავ,
ოყავ დღეგრძელი მარადის,
შენი გმირობის ჰანგები
მთებიდან მთაში გადადის!
ებრძოდი, შვებით შემოსე
კავკასიონის მთა-ველი,
მტერმა ვერ შესძლო შემოსვლა,
ვერ ირგო მიწის მტკაველი!
აზრით ინათე, იქუხე,
უხმე სტალინურ არწივებს;
მტარვალს გაუგე სიმუხლე,
ტყვიებს ცეცხლი აწვიმე!
დიადი შრომის გმირი ხარ;
ვაუკაცი შეუსადარი,
ბელადის გამოზრდილი ხარ —
შრომის და ბრძოლის სარდალი!
დიდ მხედართმთავრის მარჯვენავ,
გზებს გაგვინათებ მარადის,
შენი გმირობის ჰანგები
მთებიდან მთაში გადადის!..

ქართველი ხალხის შვილები კავკასიისათვის ბრძოლაში

როდესაც ვერაგი მტერი კავკასიონის მისადგომებს მოაწყდა, საყვარელი სამშობლოსათვის ბრძოლაში მრავალმა ქართველმა მიიღო მონაწილეობა, მრავალმა მოიხვეჭა უჭკნობი სახელი და ასახელა სამშობლო.

მტერთან ბრძოლაში გმირობა და ვაჟკაცობა გამოიჩინეს კაპიტანმა ვლადიმერ ლურსმანაშვილმა, კაპიტანმა ალექსი პირმისაშვილმა, სერჟანტმა ნიკოლოზ გოგიჩაიშვილმა. სამშობლომ ღირსეულად დააფასა მათი საგმირო საქმეები და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭა.

ოფიცრები ი. გირგვლიანი და ა. ნანეიშვილი, მაიორი კაკაბაძე, მაიორი ა. შავლიაშვილი, სერჟანტი ო. მგალობლიშვილი, უმცროსი სერჟანტი ვ. ჯალდია, წითელარმიელები ფხალაძე და ლუაშვილი, უმცროსი სერჟანტი კაკაურიძე, უფროსი სერჟანტი ჭანუფაძე, სნაიპერი ვ. გეგელაშვილი, წითელარმიელები ბეინავა და დაუშვილი და მრავალი სხვა — ის ადამიანები არიან, რომლებმაც მამაცობა გამოიჩინეს მტერთან ბრძოლაში და მთავრობის ჯილდოები — ორდენები და მედლები დაიმსახურეს.

სახელმწიფო უშიშროების სერჟანტებმა ლ. ლასურიძემ და კაბანაძემ, უფროსმა ლეიტენანტმა ი. ბელაშვილმა, წითელარმიელების ლუაშვილის და ფხალაძის თანხლებით, მტრის სათვალთვალო პუნქტში მყოფი გერმანელი ჯარისკაცები და ოფიცრები შეიპყრეს. ერთ-ერთი მაღლობის აღების დროს ლეიტენანტმა ნ. ჯიბლაძემ მოსპო ავტომატით მტრის ტყვიამფრქვევის გუნდი, წითელარმიელმა ლომსაძემ ბრძოლა გადუმართა 12 ჰიტლერელს, ხუთი მთელი შაშანით დახოცა, დანარჩენები კი გრანატებით აიფეთქა. კომკავშირელმა წითელარმიელმა გ. მ. საყვარელიძემ ერთ-ერთი მაღლობისათვის ბრძოლაში 18 ჰიტლერელი მოსპო.

კავკასიისათვის ბრძოლებში მამაცობისა და გამბედაობისათვის წითელი დროშის ორდენი მიიღეს კაპიტანმა ე. გ. ფომაშვილმა, უფროსმა სერჟანტმა ნ. ა. ჩინჩალაძემ, პოლიტხელებმა გ. ე. ხვედელიძემ და ი. მ. შუბითიძემ, წითელარმიელებმა ი. ტ. კაკაურიძემ, ბ. ე. ფერაძემ და მრავალმა სხვამ. წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოებული არიან კაპიტანი გ. ე. კვინტალიანი, უფროსი პოლიტხელი დ. ი. კუხიანიძე, ლეიტენანტები ნ. ა. ლულაძე და ვ. ვ. ხაჭიპერაძე, უმცროსი ლეიტენანტი ნ. პ. მიქაძე და სხვ.

ჩვენი ქვეყანა არასოდეს არ დაივიწყებს იმათ სახელებს, ვინც გმირულად დაიცა სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. საუკუნო დიდება და უკვდავი სახელი მოიხვეჭეს საბჭოთა კავშირის გმირმა პოლიტხელმა ვლადიმერ კანკავამ და ლეგენდარულმა კაპიტანმა ბუხაიძემ, უმცროსმა ლეიტენანტმა სარიშვილმა, ძმებმა ნიკოლოზ და მიხეილ გულვარდაშვილებმა და სხვ.

დღეს, სახელოვანი ბრძოლების წლისთავზე, ჩვენ კვლავ უდიდესი სიყვარულით და აღტაცებით ვიმეორებთ იმათ სახელებს, ვინც თავისი გმირული ბრძოლით, ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების შვილებთან ერთად, კავკასიის მისადგომებთან გაანადგურეს ვერაგი მტრები — გერმანელი ფაშისტი ოკუპანტები.

გმირული ბრძოლა

1942 წელს ჰიტლერელთა ურდოები სტალინგრადზე შეტევასთან ერთად კავკასიისაკენ გამოეშურნენ. ისინი არ ზოგავდნენ თავიანთ ცოცხალ ძალას და თავიანთი ჯარისკაცების გვამებზე, მუხლამდე სისხლში მოპაჭიკებდნენ კავკასიისაკენ. დიდი ზარალის ფასად მათ შემოდგომაზე შესძლეს მოზდოკისა და ნოვოროსიისკის რაიონებში გამოჭრა, ბრძოლა კავკასიონის მისადგომებზე გაჩაღდა, და — უშუალო საფრთხე შეიქმნა ამიერ-კავკასიის ხალხებისათვის.

გერმანიის სარდლობა ტყუილად როდი ცდილობდა უდიდესი ზარალის ფასად დაეპყრო კავკასია. მას იზიდავდა ბაქოს ნავთი, საწვავი, რომლის უდიდეს გაჭირვებას განიცდის ჰიტლერის არმია. ცნობილია, რომ 1942 წლის სექტემბერში პიატიგორსკში საწვავის უქონლობის გამო გაჩერებული იყო მტრის ტანკების მთელი ეშელონი. კავკასიის ნავთის წყაროების ხელში ჩაგდება ბევრად გაზრდიდა გერმანიის ბრძოლისუნარიანობას და მთელი ომის მსვლელობაზეც დიდ გავლენას იქონიებდა.

მაგრამ ჰიტლერელმა ბანდიტებმა ვერ მიაღწიეს ჩვენი ქვეყნის ნავთის უმნიშვნელოვანეს წყაროებამდე, ხოლო მაიკოპის ნავთით მათ ვერ ისარგებლეს, რადგან ჭაბურღილები და მთელი მოწყობილობა იქ გამოყენილი იქნა მწყობრიდან.

ამრიგად, 1942 წლის შემოდგომაზე ამიერ-კავკასიის ფრონტის ჯარების წინაშე წამოიჭრა ამოცანა — არ მიეშვათ ჰიტლერული ურდოები ნავთთან, შეიქნქცათ განუწყვეტელი ბრძოლებით, ხოლო შემდეგ მიეყენებინათ მათთვის გამანადგურებელი დარტყმა.

როდესაც გერმანიის სარდლობა მოერეკებოდა თავის ურდოებს კავკასიისაკენ, ის ვარაუდობდა, რომ ოდიდესი საფრთხის წინაშე ჩაიხშობოდა კავკასიის ხალხთა მეგობრობა, დაიწყებოდა მათ შორის შუღლი და ხოცვა-ყლეტა. მაგრამ ეს იმედიც არ გაუმართლდა ფაშისტებს. კავკასიის ხალხები, ლენინ-სტალინის პარტიის უძლეველი დროშის ქვეშ დარაზმულნი, დიადი სტალინური მეგობრობით შეკავშირებულნი სალი კლდესავით აღსდგნენ თავიანთი სამშობლოს დასაცავად. დიდი სტალინის უახლოესმა თანამებრძოლმა ლავრენტი პავლეს-ძე ბერიამ მტკიცე ხელით მოაწყო ამიერ-კავკასიის მისადგომების დაცვა, შეამჭიდროვა აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის ხალხთა ძალები და მის მიერ განმტკიცებულმა ფრონტის არმიებმა გაანადგურეს ვერაგი მტერი კავკასიის მისადგომებთან.

ჩვენმა მამაცმა მეომრებმა გამანადგურებელი დარტყმა აგებეს მტერს კავკასიის რაიონში და, როგორც საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს 1942 წ. 20 ნოემბრის ცნობაში იყო ნათქვამი, „მრავალი დღის ბრძოლები კავკასის (ქ. ორჯონიკიძის) მისადგომებზე გერმანელთა დამარცხებით დამთავრდა“.

1942 წლის 23 ნოემბრის „პრავდის“ მოწინავე სტატიაში ნათქვამი იყო: „მტერი ვარაუდობდა სატანკო ნახტომით ხელთ ეგდო ქალაქი, დაეხურა საქართველოს სამხედრო გზა და ერთმანეთისათვის დაეშორებინა ჩვენი ჯარები. მტერი ანგარიშში მოტყუვდა. მას დიდი ზარალი მოუვიდა, ჩრდილოეთ ოსეთის მინდვრებში დასტოვა 5.000-ზე მეტი ჯარისკაცისა და ოფიცრის გვამი, დიდძალი ტექნიკა“.

კავკავის მისადგომებიდან დაიწყო გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა დამარცხება ჩრდილოეთ კავკასიაში.

კავკავის რაიონში განცდილი დამარცხების შემდეგ გერმანელებმა გადასწყვიტეს ზამთარი დაკავებულ პოზიციებზე გაეტარებინათ, გაფაციცებით შეუდგნენ მთელ ფრონტზე საზამთროდ ბლინდაჟების აგებას. მაგრამ წითელი არმიის ნაწილები ვერაგ მტერს მოსვენებას არ აძლევდნენ.

უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ სტალინის ბრძანებით ამიერ-კავკასიის ფრონტის ჯარები 24 დეკემბერს გადავიდნენ შეტევაზე, ძირითადი ბრძოლა გაჩაღდა თერგისა და არდონის ველში. ჩვენი ნაწილები ზედიზედ ათავისუფლებდნენ ჩრდილოეთ კავკასიის სოფლებსა და ქალაქებს, მტერმა უდიდესი ზარალი ნახა, ბოლოს, ბრძოლა მთიანი ადგილებიდან გადატანილი იქნა, ყუბანის გაშლილ ველებზე.

კავკასიისათვის ბრძოლა წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. წითელმა არმიამ გასწმინდა გერმანელი დამპყრობლებისაგან ჩრდილოეთი კავკასია, ყუბანი და, ახლა გმირულ ბრძოლას ეწევა ქერჩის ნახევარკუნძულზე.

მეგიზნე შ. ძონწიძე

ყოჩაღი ბიჭია შ. ძონწიძე—ასე ამბობს ყველა, ვინც მას იცნობს ნაწილში.

ქვემეხი, რომელზეც ამხ. ძონწიძე მეგიზნედ არის, კავკასიისათვის ბრძოლაში მონაწილეობის პირველი დღიდანვე გამანადგურებელ ლახვარს სცემდა ჰიტლერელებს.

„მადლობა ძონწიძეს, რომელმაც სწორი და პირდაპირი დამიზნებით მარტო უკანასკნელ ბრძოლაში მოსპო მტრის ორი ტანკი, ერთი დაზგის ტყვიამფრქვევი, ორი ავტომანქანა, 190 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი“, — სწერდა წითელარმიელი გაზეთი.

ვალ. მეძვაბიშვილი

1942 წელი ჩრდილოეთ კავკასიაში—სურათზე: ქვემეხის გუნდი, რომელმაც მარტო ერთ ბრძოლაში მტრის 14 ტანკი მოსპო.

ვარლამ ჟურული

კავკასს იცავდა ბერია

(პოემიდან „დიდი მარშალი“)

ეხლა ხევსურნი ასე მღერიან:
— როცა ღრუბელი დაიძრა შავად,
მთაში გამოჩნდა ჩვენი ბერია,
დიდი მარშალის მარჯვენა მკლავად!

იდგა თოვლიან მთების იმედად,
წინ ეშლებოდა ნისლი ჩრდილებად.
„მთაო მაღალო, ვინ გაგიბედა
„ტორის დარტყმა და დამორჩილება?

„მთაო მაღალო, ჭირში მაგარო,
„არასდროს განახოთ ანატირები!
„ეხლა მახვილი ძირს რომ დახარო,
„ქვესკნელს შესძრავენ ვაუას
გმირები!“

სიტყვა მწვერვალზეც აღარ იცდიდა,
ისმოდა როგორც ქუხილი, რეკა.
ძველი დიდება დუღდა მიწიდან,
კავკასიონმა დაიწყო დრეკა.

კვლავ დაიგრგვინა მთამ მთისებურად,
აღსდგა ქართველი, ყაბარდოელი,
ვისაც ვაუკაცის ქუდი ეხურა
შინ დარჩებოდა აბა რომელი!..

აღსდგა ინგუში, ლეკი, ბალყარი,
თოფს დაუბრუნდა ისევ ხიზანი,
მთამ წინაპრულად ჯარი მოჭყარა,
შეჰკრა ბილიკნი ჭიუხისანი.

დღეს იმ გმირობის კვალს თუ
მიჰყვები
უშბაც გიამბობს, რა მოხდა მაშინ;
მიხვალ კლდესთან და კლდეც
მოგიყვება,
მხსნელად მოვიდა ბერია მთაში.

პოდპოლკოვნიკი გ. ჩარგეიშვილი

პოდპოლკოვნიკმა გიორგი იოსების-ძე ჩარგეიშვილმა სახელი გაითქვა გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე. სამამულო ომში მონაწილეობს პირველი დღიდანვე. თავისი ქვეგანაყოფით იგი ებრძოდა ჰიტლერელებს სამხრეთ-დასავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტებზე. მისი საბრძოლო ეპიზოდები თავის დროზე გამოქვეყნებული იყო გაზეთ „კომუნისტსა“ და „ზარია ვოსტოკას“ ფურცლებზე.

განსაკუთრებით სახელი გაითქვა ამხ. ჩარგეიშვილის ქვეგანაყოფმა კავკასიის მისადგომებთან ბრძოლებში.

ერთ-ერთი ბრძოლის დროს მის ქვეგანაყოფზე მტერმა ჭარბი ძალებით მიიტანა იერიში. მდგომარეობა რთული შეიქმნა. მიუხედავად ჩვენი მებრძოლების მედგარი წინააღმდეგობისა, ჰიტლერელები უახლოვდებოდნენ ჩვენს თავდაცვითს ზღუდეს. ამხ. ჩარგეიშვილმა თავისი უნარიანი ხელმძღვანელობით, ნამდვილი ოსტატობით ჩაშალა მტრის ზრახვები და ხანგრძლივი, დაძაბული ბრძოლის შემდეგ უკუაქცია ჰიტლერელები დიდი ზარალით. ამ ბრძოლაში ამხ. ჩარგეიშვილი დაიჭრა, მაგრამ ბრძოლის ველი არ დასტოვა და ბოლომდე ხელმძღვანელობდა თავის ქვეგანაყოფს.

ამხ. ჩარგეიშვილის ქვეგანაყოფში ბევრი ქართველი მებრძოლი, პოლიტმუშაკი და მეთაური იბრძვის. მათ შორის სახელი გაითქვეს პ. პანიძემ, მ. სიხარულიძემ, რ. კოკვიძემ, შ. მდინარაძემ, კუციამ, კობზიანიძემ, ს. წიკლაურმა და მრავალმა სხვამ. ბევრი მათგანი დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

უფროსი ლეიტენანტი ბ. ლაჭავა

მამაცი ოფიცერი ა. ცინცაძე

ჩრდილოეთ კავკასიისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინა უფროსმა ლეიტენანტმა ავქსენტი ცინცაძემ. ამხ. ცინცაძე ჯერ კიდევ თეთრფინელთა წინააღმდეგ ბრძოლის მონაწილეა. კავკასიის მისადგომებზე ბრძოლებში მეავტომატეთა ასეულის მეთაურის მოადგილედ იყო.

ნ დასახლებული პუნქტისათვის ბრძოლის დროს მწყობრიდან გამოვიდა ასეულის მეთაური. ამხ. ცინცაძე დგება მის ადგილას და მებრძოლებს მოუწოდებს საბრძოლველად. საბრძოლო ამოცანა შესრულებულ იქნა. ამხ. ცინცაძე დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით.

ა. ბუაჩიძე

ზრუნვა ბავშვებზე

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით „გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებში მეურნეობის აღდგენის გადადებულ ღონისძიებათა შესახებ“ მთელ რიგ ოლქებსა და მხარეებში სექტემბერ-ნოემბრის განმავლობაში უნდა გაიხსნას სპეციალური საბავშვო სახლები 16.300 აღსაზრდელისათვის და ბავშვის სახლები 1.750 ადგილით!

15 ნოემბრისათვის გახსნილია განსახკომის 89 სპეციალური საბავშვო სახლი და ჯანსახკომის 25 ბავშვის სახლი 1.750 ბავშვისათვის.

ამნაირად, ბავშვის სახლთა გახსნის გეგმა სავსებით შესრულებულია.

საბავშვო დაწესებულებებს ღათმობილი აქვთ მშვენიერი შენობები. ყველა სახლი უზრუნველყოფილია კარგი ავეჯით და საჭირო მოწყობილობით.

მოსახლეობა ყველგან ძალიან გულთბილად ეგებება სამშობლოს დამცველთა ობლებს და დიდ დახმარების უწევს სპეციალურ საბავშვო სახლებსა და ბავშვის სახლებს (საკდესი).

ბრძოლა მთაში

კავკასიონის მაღალი ქედი: მრავალი ძლევაშუბლა მთა, ღრმა ხეობები და ნაპრალები, ვიწრო ბილიკები და თვალის მომჭრელი გადასახედები. უძველეს დროინდელი ციხე-კოშკების ნაშთები და გამოქვაბულები. მთის კალთები, გაუვალი ტყის მწვანით შემოსილი. ცის ლურჯი ეთერივით გამჭვირვალე და სწრაფი მდინარეები. კლდიდან გადმომდინარე მრავალი წყარო და ჩანჩქერი...

ეს იყო 1942 წელს. უმცროს ლეიტენანტ ზოდოშვილს თავისი ქვეგანაყოფით „კავკასიონის ერთ-ერთი გადასასვლელი ეკავა. გარშემო ისმოდა არტილერიისა და ნაღმსატყორცნების გრგვინვა. ქვემეხების გრუხუნს ამეორებდა მთის ხეობები და ნაპრალები...

ფაშისტ მძარცველთა ურდო მშიერი მგლებივით შემოიჭრა მთის დიდ სოფელ ს-ში. მათ თან შეიტანეს სიკვდილის ცელი, ხალხის გაძვალტყავებისა და წამების მუხანათური წესი. მაგრამ „წესრიგის დამამყარებლებს“ ხალხი მთებში გაეპარა. ვისაც კი თოფის ლულის თავი ჰქონდა, პარტიზანულ რაზმში გაერთიანდა.

უმცროსმა ლეიტენანტმა ზოდოშვილმა დათვალიერა საგუშაგოები. უკანასკნელად იმ საგუშაგოსთან მივიდა, სადაც იმყოფებოდნენ სერჟანტი ოპლესნინი, გოლეშინი და კუზნეცოვი. ზოდოშვილმა გაიფრთხილა მებრძოლები.

მთვარე უკვე თავზე გადმოადგა მთებს. ხეებსა და ნაპრალებში სიბნელე და სიჩუმე იწვა. მეთაური დაემშვიდობა მებრძოლებს და მთის წვეროდან მგლური ნაბიჯით დაეშვა დაბლა.

რიფრაეის ხანს საგუშაგოს წინა გორაკიდან რამდენიმე ფაშისტმა ქვეწარმავალმა ამოჰყო თავი. სვასტიკიანი მუზარადები და ავტომატები მისჩერებოდნენ უშიშარ მებრძოლებს. ოცეულობივი სიჩუმით გათავზედებული ტბერი სიბრიყვეს იჩენდა და ნაკლებად იფარებდა თავს. ოპლესნინს შეეძლო დაეთვალა თოფდახული მუზარადი.

ფაშისტმა ოფიცერმა მხეცივით დაიმუღუღა:

— რუს. ს

დეპეშები

ჰელის სიტყვა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესზე

ლონდონი, 19 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო ვაშინგტონიდან გადმოგვცემს ჰელის სიტყვას, რომლითაც იგი გუშინ გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სენატისა და წარმომადგენელთა პალატის გაერთიანებულ სხდომაზე. ჰელმა სთქვა:

„ჩვენ ყველას, აქ დამსწრეთ, და მილიონობით ამერიკელებს მთელ ჩვენს ქვეყანაში, აგრეთვე იმ ამერიკელებს, რომლებიც ზღვის გაღმა თავიანთ საბრძოლო პოსტზე იმყოფებიან, ამჟამად იპყრობს და შეუძლია იპყრობდეს მხოლოდ ერთი აზრი — რაც შეიძლება მალე იქნას დამარცხებული მტერი. ომში ჩვენ ისეთ სტადიას მივაღწიეთ, როცა გაერთიანებული ერები შეტევას აწარმოებენ მსოფლიოს ყველა ნაწილში. ჩვენი მტრები დამარცხებას დამარცხებაზე განიცდიან. მოვა დრო, როცა მათი სასოწარკვეთილი მისწრაფება მსოფლიოს დანგრევისადმი საბოლოოდ იქნება შემუსვრილი. მაგრამ ჩვენ კიდევ მოგველის უდიდესი განცდანი და კოლოსალური მსხვერპლი. გამარჯვება დაჩქარდება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ჩვენ ყველანი ამერიკაში და ყველა სხვა გაერთიანებული ერები გავაკეთებთ ყველაფერ შესაძლებელს, რომ ბოლომდე, ძალღონის სულ უმცირესი დასუსტების ან განრიდების გარეშე, გამოვიყენოთ ჩვენი უპირატესობანი“.

„მოსკოვის კონფერენცია იყო, — განაცხადა ჰელმა, — როგორც ჩვენ ვთვლით, როგორც ომის ვადის შემოკლებისაკენ, ისე მომავლის მოწყობისაკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი.

კონფერენციის მოწვევა შედეგი იყო რუზველტის, ჩერჩილისა და სტალინის ღრმა რწმენისა, რომ ომის ახლანდელ სტადიაში აუცილებლად საჭიროა აზრთა გულწრფელი და მეგობრული გაცვლა-გამოცვლა სამი მთავრობის პასუხისმგებელ წარმომადგენელთა შორის ომისშემდგომ საკითხებზე, აგრეთვე ომიდ დროს თანამშრომლობის საკითხებზე. აქამდე აზრთა გაცვლა-გამოცვლა ჩვენს მთავრობასა და დიდი ბრიტანეთის მთავრობას შორის რამდენჯერმე მოხდა, მაგრამ ომიანობის პირობები ხელს უშლიდნენ იმას, რომ საბჭოთა მთავრობას იმავე ოდენობით მიეღო მონაწილეობა აზრთა ასეთ გაცვლა-გამოცვლაში“.

„ჩვენი თათბირი მოსკოვში, — განაგრძო ჰელმა, — შეეხო მთელ რიგ პრობლემებს. მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი შეთანხმებანი, მაგრამ საიდუმლო შეთანხმებანი არა ყოფილა დადებული და არც იყო გათვალისწინებული მათი დადება. სამხედრო საკითხების განხილვის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა კონფერენციაზე, შეიძლება ითქვას, რომ მას მიზნად ჰქონდა შეემსუბუქებინა და უფრო მჭიდრო გაეხადნა თანამშრომლობა სამ ქვეყანას შორის საერთო მტრის წინააღმდეგ ომის წარმოების საქმეში. კონფერენციამ თავისი ყურადღება გაამახვილა იმის უზრუნველყოფაზე, რომ ერები, რომელთა შეიარაღებულ ძალებსა და მოსახლეობას აწვება მთავრი პასუხისკგულობა მტერზე გამარჯვებისათვის, სხვა მშვიდობისმოყვარე ერებთან ერთად განაგრძობდნენ სრული მონაწილეობის მიღ“-ს მომავლის მრავალრიცხოვანი და ძნელი პრობლემების გადაწყვეტაში. კონფერენციაზე თავიდ-ნვე გაბატონებული იყო აზრი, რომ გამარჯვების მიღწევის შემდეგ მშვიდობისმოყვარე ერების თანამშრომლობა გარკვეული უმნიშვნელოვანესი საერთო ინტერესების დაცვის ჰიზნით თითქმის ისევე არსებითი და აუცილებელი იქნება, როგორც საომარ ღონისძიებათა ხელისშეწყობა ამჟამად.

ამ მოსაზრებებმა მიგვიყვანეს მოსკოვის კონფერენციის მიერ ოთხი სახელმწიფოს დეკლარაციის მიღებამდე, რომელსაც თქვენ ყველანი კარგად იცნობთ“.

ჰელმა ოთხი მთავრობის დეკლარაცია დახასიათა როგორც „მაღალი თავგანწირვის აქტი“, რომელიც ითვალისწინებს, რომ ომის დამთავრების შემდეგ ისინი თავიანთ შეიარაღებულ ძალებს ისე არ გამოიყენებენ სხვა სახელმწიფოების ტერიტორიებზე, თუ არა ერთობლივი კონსულტაციის შემდეგ და იმ მიზნებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია ამ დეკლარაციაში. ამ დეკლარაციის მიღებით, —სთქვა მან,—სრ კავშირმა. დიდმა ბრიტანეთმა, შეერთებულმა შტატებმა და ჩინეთმა საფუძველი ჩაუყარეს ომის შემდეგ თანამშრომლობას, რომელიც ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყანას—დიდსა და მცირეს—შესაძლებლობას მისცემს იცხოვრონ მშვიდობით და უშიშრად, შეინარჩუნონ თავიანთი თავისუფლება და ცივილიზებული არსებობის უფლება და ისარგებლონ გადიდებული სიკეთითა და ეკონომიური. სოციალური და სულიერი განვითარების შესაძლებლობებით... მოსკოვში ოთხმა მთავრობამ იკისრა გაატარონ, მის უაღრესად სრულ განხორციელებამდე, ფართო და პროგრესიული პროგრამა საერთაშორისო თანამშრომლობისა. ამ აქტს საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. რამდენადაც ოთხი სახელმწიფოს დეკლარაციის მუხლები გატარებული იქნება ცხოვრებაში, უკვე საჭირო აღარ იქნება გავლენათა სფეროები, კავშირები ძალთა თანასწორობის დასამყარებლად და სხვა რაიმე სპეციალური შეთანხმებები, რომელთა დახმარებითაც ქვეყნები ცდილობდნენ ბედუკუღმართ წარსულ დროში შეენარჩუნებინათ თავიანთი უშიშროება ან განეხორციელებინათ თავიანთი ინტერესები.

კონფერენციის წინაშე იდგა მრავალრიცხოვანი პოლიტიკური პრობლემები, რომლებიც აღმოცენდნენ ევროპაში საომარ მოქმედებასთან დაკავშირებით. ჩვენ ვითვალისწინებდით, რომ პრობლემები, რომლებიც წარმოადგენენ ჩვენი სამი მთავრობის საერთო ინტერესს, შემდეგშიაც წამოიჭრებიან იმის მიზეზით, რამდენადაც ჩვენი ერთობლივი სამხედრო ღონისძიებები დაიჩქარებენ მოწინააღმდეგის დამარცხებას. რამდენიმე მთავრობისათვის შეუძლებელია ასეთ საკითხებზე მივიდნენ სრულ თანხმობამდე და სწრაფ ურთიერთგაგებამდე ჩვეულებრივი დიპლომატიური არხების საშუალებით. ამის შესაბამისად კონფერენციამ გადასწყვიტა შეექმნა ევროპის საკონსულტაციო კომისია, რომელსაც ადგილსამყოფელი ლონდონში იქნება.

იმ პრობლემების გადასწყვეტად, რომლებიც ჩნდებიან იტალიის კაპიტულაციის პირობების ცხოვრებაში გატარებასთან დაკავშირებით, და იმ საკითხების გადასაჭრელად, რომლებიც გამომდინარეობენ ამ ქვეყანაში ომების განვითარებიდან, კონფერენციამ შექმნა საკონსულტაციო საბჭო იტალიის საკითხებზე. ამ საბჭოს შემადგენლობაში შეიკრიბენ შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობების, საფრანგეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტისა და იუგოსლავიისა და საბერძნეთის მთავრობების წარმომადგენლები. იგი ჩამოყალიბებული იქნება უახლოეს დროში. ცხადად იყო გათვალისწინებული, რომ ამ ორი ორგანოს შექმნას მიზნად არ ჰქონდა შეეცვალა ჩვეულებრივი დიპლომატიური არხები, რომლებიც არსებობენ სამ მთავრობათა შორის. პირიქით, მიღებული იყო ზომები იმ საკითხების სწრაფი და ეფექტური გადაწყვეტისათვის, რომლებითაც დაინტერესებული სამი მთავრობა, სამშრიანი დიპლომატიური მოლაპარაკების გზით სამი დედაქალაქიდან ერთ-ერთში.

ჰელმა დაახასიათა კონფერენციის დეკლარაციები იტალიისა და ავსტრიის შესახებ და განაგრძო: „კონფერენციამ აგრეთვე შესაძლებლობა მისცა სამი მთავრობის ხელმძღვანელებს გამოსულიყვნენ საზეიმო საჯაროო დეკლარაციით იმ პირთა შესახებ, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მხეცურ და ბილწ დანაშაულთათვის, რაც ჩაიდინეს ნაციზმთა ხელმძღვანელებმა ოკუპირებული ქვეყნების ფენილი და ტანჯული მოსახლეობის მიმართ, ყველა რასისა და რელიგიის ადამიანთა ნიმართ, რომელთაგან ყველაზე საშინელი რისხვა ჰიტლერისა თავს დაატყდათ ებრაელებს. დამსახურებული სასჯელი მიეზღვიან იმ პირთ, ვინც ჩაიდინა ეს დანაშაულობანი.

და, ბოლოს, კონფერენციამ წინდაწინ იმსჯელა ზოგიერთ განსაკუთრებულ პრობლემებზე, რომლებიც შეეხებიან ომიდან მშვიდობიანობაზე გარდამავალ მომავალ პერიოდს. სწარმოებდა აზრთა ნაყოფიერი გაცვლა-გამოცვლა ისეთ საკითხებზე, როგორიც არის დამოკიდებულება გერმანიასთან და მის სატელიტებთან, სხვადასხვა ფაზები ეკონომიური ურთიერთობისა, სოციალური კეთილდღეობის გაუმჯობესება და საერთო უშიშროებისა და მშვიდობიანობის უზრუნველყოფა. ამ პრობლემების გადაწყვეტა იყო ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მიღწევა მოსკოვის კონფერენციისა.

აქტიურმა განხილვამ, რომელიც ორი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა, არ მიგვიყვანა და არც უნდა მივიყვანეთ ჩვენს წინაშე მდგომი ყველა პრობლემის გადაწყვეტამდე. კიდევ უფრო ნაკლებად შეგვეძლო ჩვენ გაგვეთვალისწინებინა ის პრობლემები, რომლებიც, უეჭველია, წამოიჭრებიან ხდითი-დღე და წლიდან წლამდე. იყო სხვა პრობლემებიც, მაგალითად, ისეთები, როგორიც არის საკითხები საზღვრების შესახებ, რომლებიც თავიანთი ხასიათის მიხედვით გადადებულ უნდა იქნან საომარი მოქმედების დამთავრებამდე. ეს შეესაბამება იმ პოზიციას, რომელსაც რამდენიმე ხნის განმავლობაში ადგა ჩვენი მთავრობა. უაღრესი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ კონფერენციაზე აღორძინდა სულისკვეთება საერთაშორისო თანამშრომლობისა ამჟამად და ომის შემდეგ და. რომ მან მიიღო პრაქტიკული გამოხატულება.

მე ბედნიერი ვარ, რომ შესაძლებლობა მაქვს ღირსეული მივუძღვნა იმ პირთ, რომლებთანაც პატივი მქონდა მეთათბირნა მოსკოვში. მოლოტოვმა უაღრესად ეფექტიურად დაიცავა კონფერენციის დღის წესრიგი. როგორც კონფერენციის თავმჯდომარემ და მონაწილემ, მან გამოამჟღავნა განსაკუთრებული უნარი და ღრმა გაგება საერთაშორისო საქმეებისა. იდეაზე თავისი განსაკუთრებული სიბრძნითა და გამოცდილებით გამოავლინა თავისი სრულყოფილი თვისებები სახელმწიფო მოღვაწისა. მარშალ სტალინის სახით მე ვპოვე შესანიშნავი პიროვნება, ჩვენი თაობის ერთ-ერთი დიდი სახელმწიფო მოღვაწე და ლიდერი. ჩემზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა რუსმა ხალხმა და მისმა ეპიკურმა პატრიოტიზმმა. ადამიანები, რომლებიც იბრძვიან შეუბრალებელი აგრესიის წინააღმდეგ და სრულებით არარად აგდებენ სიკვდილს, როგორც ამას სჩადიან საბჭოთა კავშირის ქალები და კაცები, ღირსნი არიან აღფრთოვანებისა და კეთილი სურვილისა ყველა ქვეყნის ხალხთა მხრივ.

ჩვენზე, ახლანდელი თაობის ადამიანებზე, ზომავალში იმსჯელებენ იმის მიხედვით, თუ როგორ შევასრულეთ ჩვენზე დაკისრებული უპრეცედენტო ამოცანა, — არა მარტო მოვიგოთ ომი, არამედ მივაღწიოთ იმასაც, რომ ხელიდან არ გავუშვათ ხელშემწყობი შესაძლებლობანი მომავალში მშვიდობიანობისა და უშიშროების დამყარებისა. როგორც ამერიკელი, მე ვამაყობ იმ ფართო შეხედულებებით და სახელმწიფო საქმეების იმ გაგებით, რომლებმაც თქვენ, ქალბატონებო და ჯენტლმენებო, კონგრესის ორივე პალატაში ხმის უმეტესობით, პარტიული კუთვნილებისაგან დამოუკიდებლად, მიგაღებინათ რეზოლუციები, რომლებიც ითვალისწინებენ მშვიდობიანობისა და უშიშროების შენარჩუნ“ის ინტერესებისათვის საერთაშორისო თანამშრომლობის ეფექტურ სისტემაში ჩვენი ქვეყნის მონაწილეობ“ისა სხვა სუვერენულ ერებთან ერთად“.

სანიტარული მუშაობის გარდაქმნისათვის

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის პირობებში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ზურგის სანიტარულ კეთილდღეობას. საქართველოს სსრ მთავრმა სახელმწიფო სანიტარულმა ინსპექციამ გაითვალისწინა ეს და თავისი მუშაობა გარდაჰქმნა იმ ღონისძიებების შესაბამისად, რომლებიც მიმართულია ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის.

უმთავრესი ყურადღება მიექცა სამრეწველო ქალაქების — თბილისის, ქუთაისის, ზესტაფონის, ჭიათურის, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური სს რესპუბლიკების ცენტრების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ქალაქების, რკინიგზის ტრანსპორტის, მუშათა დაბების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და სხვა დასახლებული პუნქტების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ზოგან ადგილობრივი საბჭოებისა და მათი ჯანდაცვის ორგანოების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის გამო საკმაო ყურადღება არ ექცეოდა მაგარი სამეურნეო ნარჩენებისა და თხევადი უსუფთაობის დროულად გატანას როგორც კანალიზებული, ისე არაკანალიზებული სამფლობელოებიდან. ამ საკითხს ამჟამად მიქცეული აქვს მთავარი ყურადღება სანიტარული ორგანიზაციების მუშაობაში როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე. სამრეწველო სწარმოებსა და სამეურნეო დაწესებულებებში სანიტარულ კეთილდღეობაზე, სასუფთავისა და სანიტარული წესრიგის დამყარებაზე ყოველდღიური მიმდინარე სანიტარული კონტროლის დაწესების გარდა ამ მიმართულებით კომკავშრომელ ორგანიზაციებთან ერთად რეგულარულად ეწყობა ქალაქების, დასახლებული პუნქტებისა და რკინიგზის ტრანსპორტის დასუფთავების ერთთვიურები, აგრეთვე საერთო საცხოვრებლების. სამრეწველო საწარმოების, სახელოსნო სასწავლებლების, საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტსების კეთილმოწყობის დათვალიერება; ოლიბენ ზომებს სამი სანიტარული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის დასამყარებლად. სანიტარული აქტივის. საზოგადოებრივი სანიტარული ინსპექტორებისა და მოსახლეობის ფართო ფენების მონაწილეობით ამ მუშაობაში მნიშვნელოვანი გარდატეხა გვაქვს. გარკვეული მუშაობა ჩატარდა აგრეთვე ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების სანიტარული გაჯანსაღებისათვის, საწარმოებში სისუფთავის დამყარებისა და ნაგვის საყარ ადგილებში დიდი ხნის დაგროვილი ნაგვის გატანისათვის.

სახელმწიფო სანიტარული ინსპექციის ორგანოები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ხვრელებისა და თავშესაფრების ჯეროვან სანიტარულ მდგომარეობას, მაგრამ ყველგან ჯერ კიდევ ვერ მოაწყეს სათანადო მეთვალყურეობა, და ეს ხვრელები და თავშესაფრები მთელ რიგ ადგილებში მოუვლელია.

ამჟამად ყველა არსებული და შენებაში მყოფი საერთო საცხოვრებელი აღრიცხვაზეა აყვანილი და მათზე მუდმივი სანიტარული მეთვალყურეობა უნდა დაწესდეს.

საერთო საცხოვრებლებსა და კომუნალურ ობიექტებში სანიტარული წესების დარღვევის აღმოჩენისას სახელმწიფო სანიტარული ინსპექციის ორგანოებმა დამნაშავენი სასტიკ ადმინისტრატიულ და სასამართლო პასუხისგებაში უნდა მისცენ.

ამასთან ერთად სანიტარულმა ორგანოებმა ადგილებზე მონაწილეობა უნდა მიიღონ ინფექციურ დაავადებასთან და, კერძოდ, პარტახტიან ტიფთან საბრძოლველად ეპიდემიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარებაში. ეს ღონისძიებანი ძირითადად გამოიხატება იმით, რომ უნდა დაწესდეს მუდმივი მეთვალყურეობა და კონტროლი ინფექციურ ავადმყოფთა დროულ ჰოსპიტალიზაციაზე, დაავადების კერათა სანიტარულ დამუშავებაზე, გატარდეს დასახლებულ ადგილებში ბინებზე ჩამოვლა, აგრეთვე კონტროლი აბანოებისა და სანაკამარების შეუფერხებელ მუშაობაზე, სინფექციო საავადმყოფოთა მუშაობაზე და სხვ.

სანიტარულმა ორგანიზაციებმა უნდა გაითვალისწინონ საზოგადოებრივი კვების, ბაზრების, კვების მრეწველობის საწარმოებისა და სავაჭრო ქსელის. აგრეთვე კვების პროდუქტების ტრანსპორტირების სანიტარული მდგომარეობის განსაკუთრებული მნიშვნელობა, უსასტიკესი კონტროლი უნდა დაუწესონ ზემოთ დასახელებულ ობიექტებზე და სანიტარული წესების დარღვევის ყველა შემთხვევაში სასტიკ პასუხისგებაში მისცენ ის პირები, რომელნიც არღვევენ და უგულებელჰყოფენ სახელმწიფო სანიტარული ინსპექციის მითითებებს. ამ ღონისძიებებით მიღწეული იქნება ზურგის სანიტარული კეთილდღეობა.

ი. ფრანგულიანი

ხალ. სსრ მთავარი სახელმწიფო სანიტარული ინსპექტორი და ჯანმრთელობის სახალხო კომისრის მოადგილე

გენერალ-ლეიტენანტ კირიჩენკოს ყუბანიზ გვარდიის კაზაკთა მე-4 საკავალერიო კორპუსის გმირი კაზაკები, რომლებიც ანადგურებდნენ ფაშისტებს ტუაპსესთან, გროზნისთან, როსტოვთან და ტაგანროგთან არიან მონაწილენი ჩვენი არმიის გმირული ბრძოლისა დონბასისა და აზოვსპირა მხარის განთავისუფლებისათვის.

სურათებზე (მარცხნიდან მარჯვნივ): ყუბანელი კაზაკები ლაშქრობაში; მოსწავლე ნადია ჩიუი წყალს ასმევს კაზაკ თევდორე ფილიპოვის ცხენს; გვარდიელი მეავტომატეები კაზაკი გ. ირხინი და უფროსი სერჟანტი უ. გორიაევი ცეცხლს უშენენ მტერს.

ფოტო ე. ევზერიხინისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

საბჭოთა კავშირში

კუტუზოვის მინიატურული პორტრეტი

სვერდლოვსკის მუზეუმმა შეიძინა კუტუზოვის მინიატურული — საფოსტო მარკის ოდენა პორტრეტი; პორტრეტი საუცხოოდ არის შესრულებული. იგი დახატულია ზეთის საღებავებით სპილოს ძვლის ფირფიტაზე. პორტრეტი განსაცვიფრებელი სიზუსტით გადმოგვცემს დიდი მხედართმთავრის სახეს. სპეციალისტების დასკვნით პორტრეტის დახატვის დრო გასული საუკუნის 40-50-იანი წლებია. (საკდესი).

ხარკოვის გამწვანება

ფაშისტმა ბარბაროსებმა ხარკოვის პარკებსა, ბაღებსა და ქუჩებში მოსჭრეს ასობით ხე, რომლებითაც განთქმული იყო უკრაინის მეორე დედაქალაქი. ამჟამად სხვა აღმდგენლობითს სამუშაოებთან ერთად მიმდინარეობს ქალაქის გამწვანება. შევჩენკოს სახელობის საქალაქო ბაღში დარგულია 3.500 ძირი ხე. ცენტრალურ მოედნებზე — ტეველიოვის სახელობისა და როზა ლუქსემბურგის სახელობის მოედნებზე ირგვება 30-35—წლიანი დეკორატიული ხეები. (საკდესი).



დონბასის შახტ „წითელი ვარსკვლავის“ № 4 ტანის საურნალე კვანძების ალდგენა.

(საკდესის ფოტოქრონიკა).

მოკავშირეთა სამხედრო საჰაერო ბაზამ გაუმრთხილებელი მისცა იმის შესახებ, რომ დაბომბილი იქნება სამხედრო-სამრეწველო საწარმოები საფრანგეთში

ლონდონი, 19 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ 17 ნოემბერს მოკავშირეების სამხედრო საჰაერო ბაზის წარმომადგენელმა რადიოთი მიმართა ფრანგ ხალხს გაფრთხილებით იმის შესახებ, რომ საფრანგეთის 36 ქალაქში, მათ შორის პარიზში, ლიმოგში, ტულუზში, ლილში და სხვ. არსებული სამხედრო-სამრეწველო ობიექტები, რომლებიც მტრისათვის მუშაობენ, შეიძლება მოკავშირეების ავიაციის მასობრივ საჰაერო თავდასხმათა ობიექტები გახდნენ.

ამ საწარმოებში მომუშავე ფრანგებს, აგრეთვე იმათ, ვინც ამ ობიექტების მახლობლად ცხოვრობს, გაფრთხილება ეძლევათ, რომ მათ უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

ამერიკის „მფრინავი სიმაგრეების“ ოპერაციების შედეგები

ნიუ-იორკი, 19 ნოემბერი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ ამერიკის „მფრინავმა სიმაგრეებმა“ თავიანთი ოპერაციების პირველი წლის განმავლობაში საომარი მოქმედების ჩრდილოეთ აფრიკის ასპარეზზე მოსპეს და დააზიანეს მოწინააღმდეგის 1.348 თვითმფრინავი. მტრის ობიექტებზე ჩრდილოეთ აფრიკასა და ევროპაში ჩამოყრილ იქნა 26.100 ტონა ბომბი. ამ ოპერაციებში დაიკარგა 87 „მფრინავი სიმაგრე“.

პარტიზანები სამხრეთ საფრანგეთში

ნიუ-იორკი, 18 ნოემბერი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ სამხრეთ საფრანგეთში მოქმედებენ პარტიზანული რაზმები, შემდგარნი იტალიელ ჯარისკაცთაგან, რომლებმაც არ ისურვეს მუსოლინის არმიაში ან გერმანიის ნაწილებში შესვლა.

საფრანგეთ-იტალიის საზღვრის გასწვრივ მდებარე რაიონში ზღვისპირა ალპებიდან სავოიამდე მოქმედებს 90 ათასამდე პარტიზანი—ფრანგი და იტალიელი.

იუგოსლავიელ პარტიზანთა საბრძოლო მოქმედება

ქენევა, 18 ნოემბერი (საკდესი). როგორც იუგოსლავიიდან იუწყებიან, იუგოსლავიელ პარტიზანთა ნაწილებმა, რომლებიც სლოვენიაში მოქმედებენ, შეიჭრეს გერმანიის დიციზიების შტაბი. ამჟამად პარტიზანული ნაწილები რამდენიმე ადგილას კონტრშეტევაზე გადავიდნენ. ჰერცეგოვინაში მათ დაიკავეს ქალაქი ნევესინე და სოფელი ზიმლე.

გაადგილებული ბრძოლების შემდეგ გერმანელებმა დაიკავეს პრიკეენიცა და გადასხდნენ კრკის კუნძულზე. ამ კუნძულის სანაპიროზე გააფთრებული ბრძოლები გრძელდება.

სლავონიაში პარტიზანულმა ნაწილებმა, რომლებმაც კოპრივნიცა დაიკავეს, მტრის რამდენიმე იერიში მოიგერიეს. ჩერნოგორიაში პარტიზანული ნაწილები, რომლებიც პოდგორიცის მიმართულებით მიიწევენ წინ, განუწყვეტელ ბრძოლებს ეწევიან ოკუპანტებთან. დალმაციაში პარტიზანები წარმატებით იერიშობენ გერმანელებისა და უსტაშების ნაწილების იერიშს. რომლებიც ცდილობენ გაიჭრან რამდენიმე მიმართულებით. შეუპოვარი ბრძოლები სწარმოებს მდინარე ცეტინიეს ხეობაში.



ფოტო ე. ევზერიხინისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

„მკაცრი დღეები“

ჭიათურის თეატრმა სეზონის მორიგ პატიმირად მაყურებელს ოჩიენი ალექსეევისა და ლ. რუდნევის პიესა „მკაცრი დღეები“ ეპიეა ასახავს ლენინგრადის ბლოკადაცვას გამხეცებული ფაშისტური ურდოების წინააღმდეგ. ისტორიაში არსებული გმირობა, თავდადება, ვამბლეობა გამოიჩინეს ამ გმირულ წარმოელენ არმიის მეცხრალებმა, ისევე ლენინგრადის მცხოვრებლებმაც. „მკაცრი დღეები“ სწორედ ამ გმირი ადამიანების წარმომადგენლებს გვიჩვენებს. შერბინინი, გორდეევი, ორიოლი, ილიკო, ტოსია, ანია, ბეზღვაური — ესენი ამეღლვნებენ გმირის ნამდვილ თვისებებს — ძლიერ ნებისყოფას, გამარჯვების ღრმა რწმენას, უსაზღვრო სიყვარულს სამშობლოსადმი, დიდი სტალინისადმი და მძაფრ სიძულვილს გერმანელი ოკუპანტებისადმი.

ჭიათურის თეატრში ეს პიესა დასდგა ახალგაზრდა რეჟისორთა საკავშირო დათვალიერების მონაწილემ გრ. ტყაბლაძემ. მოსაწონია, რომ თავისი შემოქმედებითი ძალის გამოსამეღავნებლად გრ. ტყაბლაძემ აირჩია პიესა თანამედროვე თემაზე და ისიც ასეთი ძნელი პიესა, რომელშიც მთელი სიმძიმე აქტიორულ შესრულებაზეა დაყრდნობილი. რეჟისორს კარგად უმუშავნია მსახიობებთან, სწორედ ეაუწყნია სახეები, ხასიათები, პიესის დედაარსი. რასაკვირველია, ყველა მონაწილე თანაბარი ძლიერებით ვერ ახორციელებს როლებს.

პიესის მთავარი გმირია ალეშა შერბინინი, გამოჩენილი არქიტექტორი, ახლა უფროსი სერჟანტი, ნიმმტყორცნელთა ათეულის შეთაური. ამ როლს მ. ფაშაძე თამაშობს. მ. ფაშაძის შერბინინი კარგი, დამაჯერებელი მხატვრული სახეა, მაგრამ მაინც არ არის სრულქმნილი, ისეთი, როგორიც ავტორებმა გამოჰკვეთეს. მთავარი ნაკლი ქვეტექსტის არასაკმაო გახსნიდან მომდინარეობს. მსახიობი ხახს ვერ უსვამს მის გმირულ ხასიათს. ერთი შტრიხი: გერმანელების ზურგში გაბრულად დაიღუპა შერბინინის საყვარელი არსება — ტოსია. ეს გიგიო შერბინინმა. არც ერთ სიტყვას არ ამბობს იგი ამის შესახებ, მაგრამ მთელ მის ქცევაში შემდგომ უნდა მოსჩანდეს მისი დიდი პირადი ტრაგედია. ეს ეს არ სჩანდა მ. ფაშაძის თამაშში საჭირო ძალიერით.

მეორე არა ნაკლებ მნიშვნელოვანი სახეა პეტრე ორიოლი, ლენინგრადელთა მოდგმის წარმომადგენელი. მ. კუსიანმა შესანიშნავი სახე მოგვცა, მის თამაშს ახასიათებდა უშეალობა, გულწრფელობა, ბუნებრივობა.

ასევე მოსაწონი არიან ვ. სვანელის ანია, გ. ნუცუბიძის გორდეევი, შ. რომანიშვილი ტოსია, შ. ბანეთიშვილის ილიკო, ბ. ფაშაძის ბეზღვაური, ვ. ყველაშვილის ლისაკინი და სხვ. გრ. ტყაბლაძის გენერალ-მაიორი დასახასიათებელი სახეა. შ. დურმიშიძე 17 წლის იურას თამაშობს, მაგრამ ჭაბუკის სახე „ჩ გამოუდის. მსახიობს ხელს უშლის შეუფერებელი გრიმი.

სპექტაკლი კ. ჩხეიძეს კარგად გაუფორმებია, განსაკუთრებით მოსაწონია ფინალი.

საერთოდ ჭიათურის თეატრმა, რომლის მეორე დადგმაც („და-ძმა“) ვნახეთ, კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. თეატრს (დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი ს. ცომაია) ჰყავს ძლიერი დასი, შემდგარი ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობებისაგან. ჭიათურის თეატრი დამსახურებულად ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო სარაიონო თეატრად.

ზ. რიონელი

ბავშვთა სასპორტო სკოლები

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს დადგენილებით 1943-44 სასწავლო წელს საქართველოს რაიონებში გაიხსნება ბავშვთა 19 ახალი სასპორტო სკოლა 2.100 მოსწავლის ტევადობით. ამ სკოლების გახსნის შემდეგ ბავშვთა სასპორტო სკოლების საერთო რიცხვი საქართველოში 50 მიაღწევს.

სკოლები დროულად იქნება უზრუნველყოფილი მასწავლებლებითა და მწვრთნელებით, ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის მიერ გამოყოფილ მწვრთნელთა გარდა, სასწავლო-სპორტული შეკრებების საშუალებით გადამზადებული იქნება 500 კაცი, რომლებიც სასპორტო სკოლებში იმუშავებენ სპორტის სხვადასხვა სახეებში — ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში, ხელჩართულ ბრძოლაში, სამთო-სათხილამურო სპორტში, ალპინიზმში, სასროლო სპორტში და სხვ.

ბავშვთა სასპორტო სკოლების მოსწავლენი უზრუნველყოფილი იქნებიან სასპორტო ტანსაცმლითა და მეცადინეობის დღეებში კვებით.

ამასწინათ ჩატარდა ბავშვთა სასპორტო სკოლების დირექტორების რესპუბლიკური შეკრება, რომელზეც სკსპორტო სკოლების ხელმძღვანელებმა მოისმინეს მოხსენებები, თუ როგორ უნდა იმუშაონ ბავშვთა სასპორტო სკოლებმა სამამულო ომის პირობებში, როგორ უნდა სწარმოებდეს პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა ბავშვთა სასპორტო სკოლებში და სხვ. შეკრების მონაწილენი აგრეთვე გაეცნენ ბავშვთა ცენტრალური სასპორტო სკოლის მუშაობას და მიიღეს კონსულტაცია მათთვის საინტერესო საკითხებზე.

ლექციები ⅆ მოხსენებები

20 ნოემბერს, ხალამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. მოლოტოვის რაკომის პარტკაბინეტში (ქლეხანოვის პრსპ. № 83) შესდგება ამხ. **მამიანის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„მარქსისტულ-ლენინური თეორიის განვითარება ამხანაგ სტალინის მიერ სამამულო ომის პირობებში“.** შესვლა თავისუფალია.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ზ. ჯიბლაძე

თეატრებში

20 ნოემბერს: **სახ. თეატრა**—„კაკო ყაჩაღი“. **რუსთაველი**—„საპატარძლო აფეშთა“. **მარჯანიშვილის**—„რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. **გრიბოედოვის**—„ინჟინერი სერგეევი“. **ხომხური**—„ვანიუშინის ოჯახი“. **ახუნდოვის**—„ფახრად და შირინი“. **მუსკომედიის**—„სილვა“. **სანკულტურის**—„სტუმარ-მასპინძლობა“. **მოზარდი მაყურებლის**—ქართული—„რომეო და ჯულიეტა“, რუსული—„რაიკომის მდივანი“.

კინოებში

20 ნოემბერს: **რუსთაველი**—„ბრძოლა ჩვენი საბჭოთა უკრაინისათვის“. **ოქტომბერი**—„ჰაერის მეეტლე“. **დამკვრელი**—„გიორგი სააკაძე, I სერია. **კომკავშირელი**—„კომკავშირელები“. **სპარტაკი**—„მიგდებული ბავშვი“. **ლუქსემბურგის სახ.**—„ასი მამაკაცი და ერთი ქალიშვილი“. **26 კომ. სახ.**—„ნასრედინი ბუხარაში“.

საქართველოს სასწავლო კომბინატის თბილისის ფილიალი აწარმოებს მოანგარიშეებისა და ბუხჰალტრების მომზადება-გადამზადებას. განცხადებების მიღება გრძელდება.

ცნობები მიიღება დღისით—საქ. სასწავლო კომბინატის კანცელარიაში (ძერჟინსკის ქ. № 22), დილის 9 საათიდან დღის 5½ საათამდე, ტელეფონი 3—31—01.

საღამოს — თბილისის ფილიალის კანცელარიაში (პლეხანოვის პროსპ. № 136, რკინიგზის მე-4 ვაჟთა საშ. სკოლა) 6 საათიდან 10 საათამდე, ტელეფონი 3—59—24.

დირექცია

ამხანაგების ჯგუფ